გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№115 (871) 4 - 5 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

# რატომ ენდობა ღარიბაშვილს ივანიშვილი



გვ. 3

როგორ დაუახლოვდა ქიზიყელი ბიჭი მსოფლიოში ცნობილ მილიარდერს და რა გზა გაიარა პრემიერობამდე 31 წლის ირაკლი ღარიბაშვილმა

## გოგა ხაინდრავა 20-წლიან ბრალდებებს პასუხობს



გვ. 4

სთხოვს თუ არა თანამდებობას პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სკანდალური კინორეჟისორი

## რატომ ჩამოართვეს „ფლაი ჯორჯიას" საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი




გვ. 6

გაერო-ს სანქცია და ქართული „საჰაერო თამაშების" ირანული ფესვები

## SOS! მარკეტებში „ნიკორას" აკრძალული პროდუქცია იყიდება?!

გვ. 7

## დიმიტრი შაშკინი

„ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება გარდაუვალია!"



განათლების, სასჯელაღსრულებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ნაციონალების მთავარ შეცდომებზე ალაპარაკდა

გვ. 5



# მიხეილ სააკაშვილმა ბაჩო ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაჩო ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისი შინაარსის მიმართვა პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

„პენიტენციალურ სისტემაში რომ ბევრი რამ რიგზე არ იყო, ამის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია არსებობდა. მათ შორის, სახალხო დამცველის ანგარიშებში. პირადად მე არაერთხელ მიმიცია შენიშვნა სისტემის მესვეურთათვის, ძალის გადაჭარბებული გამოყენების ან პატიმართა სიკვდილიანობის ფაქტებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ჩემი დავალებით, დავხურეთ რამდენიმე ძველი ციხე და დავიწყეთ ახალი, უფრო ცივილიზებული საპატიმროების მშენებლობა...

არჩევნების შემდეგ ბაჩო მალევე ჩამოვიდა საქართველოში, თანაც ნათელი იყო, რომ მაშინვე დააპატიმრებდნენ. მან ჩამოსვლისთანავე დამირეკა და მითხრა, რომ გადაწყვიტა, ყველა ბრალდებაზე თავად გაეცა პასუხი, თუნდაც ეს მრავალთვიანი წინასწარი პატიმრობის ფასად დასჯდომოდა. იგი დარწმუნებული იყო უდანაშაულობაში, რომლის დამტკიცებასაც სასამართლო პროცესებზე მონაწილეობით — საზოგადოების სამსჯავროზე თავისი გამამართლებელი არგუმენტების წარდგენით აპირებდა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელები ახალაიას მანამდე გამუდმებით „მონსტრს“ უწოდებდნენ საჯაროდ, პირველივე ბრალდება, რომლითაც იგი დააკავეს, სხვა რომ არაფერი ვთქვა, არა მხოლოდ არ შეესაბამებოდა მონსტრის განმარტებას, არამედ ნორმალური სასამართლო პრაქტიკის პირობებში, წინასწარი პატიმრობა, როგორც წესი, არც კი გამოიყენებოდა ასეთი ბრალდების დროს... როგორც ჩანს, პროკურატურა ხვდებოდა, რომ ე.წ. ვაშლის თლის ბრალდებით, უბრალოდ, ვერ დადგებოდა ის შედეგი, რომელიც სურდათ. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ დაამატეს ბრალდება 7 სპეცრაზმელის წამების საქმეზე და რამდენიმე სხვა ეპიზოდი.

ამის შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებას შეეძლო ეხილა ტელეეკრანებზე, თუ როგორ დადიოდნენ სასამართლოში „შპარგალკიანი“ მოწმეები, როგორ გადათქვეს მოწმეებმა ჩვენებები და ღიად ისაუბრეს იმ უკანონო წნეხზე, რომელიც მათზე განხორციელდა. მათ შორის, თუ როგორ გაიტაცეს ერთ-ერთი მოწმე ტყეში და ჩვენების მიცემას, იქ, ხეზე მიბმულს მუქარის ქვეშ სთხოვდნენ...

პირადად მე, შემრცხვა, როდესაც ტელევიზიით ვიხილე ბაჩო ახალაიას საქმის ბრალმდებელი პროკურორის, ლევან ადეიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალაიას წინააღმდეგ საქმე ეფუძნება რამდენიმე კანონიერი ქურდისა და სხვათა ჩვენებებს. როგორც იურისტი, ვიცნობ პრაქტიკას, როდესაც ორგანიზებული დანაშაულის სინდიკატების ხელმძღვანელები ჩვენებას აძლევდნენ სხვა მაფიოზების წინააღმდეგ, მაგრამ არ ვიცნობ არც ერთ შემთხვევას, არც ცივილიზებულ და არც ნაკლებად ცივილიზებულ საზოგადოებებში, სადაც წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მთავარი მტრების, ორგანიზებული დანაშაულის ლიდერების ჩვენების საფუძველზე, პროკურატურა ბრალს წაუყენებდა სახელმწიფოს იმ თანამდებობის პირებს, რომელთაც თანამდებობრივად სწორი ნაბიჯები გადადგეს მაფიოზების ძალაუფლების შესასუსტებლად. ეს განაჩენი არა მხოლოდ გაუმართლებელია იურიდიული თვალსაზრისით, არამედ, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, უბრალოდ, სამარცხვინოა...

რაც შეეხება ციხის ბუნტის საქმეს, რომელიც უკავშირდება „კანონიერი ქურების“ ინსტიტუტის კანონიერ ჩარჩოებში აღმოფხვრის პოლიტიკას, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ ეს იყო ჩემი, როგორც საზოგადოებისგან შესაბამისი მანდატის მქონე თანამდებობის პირის და ასევე ჩემი მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილება! დღესაც ღრმად მწამს, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელზეც სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ!.. საქმე არა იმდენად ბაჩო ახალაიას პიროვნებაშია, არამედ ისტორიის, სიმართლისა და სამართლიანობის წინაშე ჩემი ვალია, ხელი მოვაწერო შეწყალების აქტს ამ სამარცხვინო საქმის წარმოებისა და განაჩენის დადგომის შემდეგ; მოვაწერო არა იმიტომ, რომ საქმე შეეხება ბაჩო ახალაიას (მით უმეტეს, რომ ამ შეწყალებით, პროკურატურის მანიპულაციების შედეგად, იგი ახლა ვერ გათავისუფლდება), არამედ იმიტომ, რომ არ დავუშვათ პრეცედენტი — „კანონიერმა ქურდმა“ გაასამართლოს და ციხეში ჩასვას მაფიის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი“, — ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში.

*„ვერსიანიუსი“*

რუსუდან შელია
557-100-768

**ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაკავებული და მსჯავრდებული თანაგუნდელების შეწყალების სერიას აგრძელებს. ცნობილია, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ თავდაცვის ყოფილი მინისტრ ბაჩო ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით გამოტანილი გაგამტყუნებელი განაჩენი გაუბათილა, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულს სამი წელი და 9 თვე მიუსაჯა. ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა ორდღიანი ფიქრის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამდე მიხეილ სააკაშვილს ახალაიას შეწყალების თხოვნით მიმართეს. შეწყალების მიუხედავად, თავდაცვის ყოფილი მინისტრი საპატიმროში რჩება, რადგან არსებობს კიდევ ერთი საქმე, რომელშიც ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული — საუბარია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ბრალდებულ პირთა განაჩენის არასათანადოდ აღსრულებაზე.**
**მანამდე კი პრეზიდენტმა 72 პირი ერთპიროვნულად, შეწყალების კომისიის რეკომენდაციის გარეშე შეიწყალა.**
**შეწყალებულთა შორის არიან ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, რომელიც ძებნაში იმყოფება; ბუტა რობაქიძის საქმეზე დაკავებული ყოფილი პოლიციელი მაიზერ ლიპარტელიანი; იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის, თინა ბურჯალიანის მეუღლე ნიკოლოზ ძიმცეიშვილი...**

**„პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირზე საქმის გამოძიება ვერ განახლდება. მაგალითად, თენგიზ გუნავას შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით პროკურატურა ძიებას ვერ განაახლებს, რადგან პრეზიდენტმა გუნავა სწორედ შესაბამისი მუხლით შეიწყალა. პროკურატურას არ უნდა, ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში თენგიზ გუნავას პრეცედენტი განმეორდეს და ამიტომ დროის გაწელვას ცდილობს — ბაჩო ახალაიას ბრალდებებს ნაბიჯ-ნაბიჯ უყენებს და როცა ამ პროცესს საზღვარგარეთიდან აკვირდებიან, პოლიტიკური დევნის შთაბეჭდილება რჩებათ. მაგალითად, ევროპარლამენტარები ხშირად აცხადებენ, რომ წინასწარ პატიმრობაში მერაბიშვილის დატოვების საფუძველი არ არსებობს, რადგან მიმალვის კუთხით, გამოძიებისთვის საშიში არაა“.**

ცნობილია, რომ ნაციონალური მოძრაობის ბრალდებული გენერალური მდივნის ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლოში გასაგზავნად აპელაცია მოამზადეს. ლია მუხაშავრია არ გამორიცხავს, რომ სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილის ადვოკატების საჩივარი დააკმაყოფილოს:

**„სტრასბურგის სასამართლოში ითვალისწინებენ, რომ ბრალდებული უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმციით სარგებლობს, თუმცა ნებისმიერი შემთხვევაში, სტრასბურგის გადაწყვეტილება მერაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეში არსებით ცვლილებას ვერ შეიტანს“.**

სხვათა შორის, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მოსახლეობას მოუწოდა, ევროსასამართლოდან სარჩელები გამოიტანეთო, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ლია მუხაშავრია ამბობს, სტრასბურგში საქართველოდან შესული საჩივრების რაოდენობა არ შემცირებულა და, დაახლოებით, სამი ათასს აღწევს:

**„სტრასბურგში საქართველოდან შესული საჩივრები მრავლადაა, რომელთა დიდი ნაწილიც, რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდშია გაგზავნილი... ამ მიმართულებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რეალურად, არაფერი შეცვლილა. სტრასბურგის სასამართლოში მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან საქმის წარმოება იგივენაირად ხორციელდება, როგორც ადრე — მორიგებით მხოლოდ რამდენიმე საქმე დასრულდა. არაფერი გაუმჯობესებულა ქართულ სასამართლოშიც — იგივე პერსონები დარჩნენ, რომლებსაც, პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, ღირებულებები არ შეუცვლიათ. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება აღიარებს, რომ ყველა ნაბიჯი, რომელიც სასამართლო სისტემის გასაუმჯობესებლად გადაიდგა, სრული ფიასკოთი დასრულდა. შეუძლებელია, სახელმწიფომ ფუნქციონირება იმ პირობებში გააგრძელოს, როცა სასამართლო, პრაქტიკულად, არ არსებობს. ყველაფერი ეს, ალბათ, არაპროფესიონალიზმისა და უყურადღებობის შედეგია, ამიტომ ამ მიმართულებით საზოგადოებრივი სექტორის მეტი ჩართულობაა საჭირო“.**

# შეიძლება თუ არა სააკაშვილის მიერ შეწყალებულთა წინააღმდეგ გამოძიების განახლება



2012 წლის 30 ივლისს, პრეზიდენტმა თანაგუნდელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი თენგიზ გუნავა შეიწყალა, რომელსაც სასამართლომ სახელმწიფო თანხების გაფლანგვისთვის, 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. შეწყალებულ თენგიზ გუნავას მიხეილ სააკაშვილმა ნასამართლევის სტატუსიც მოუხსნა და რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პოზიციაზეც დააბრუნა. გუნავამ თანამდებობა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვა.

არის თუ არა კანონში მუხლი, რომლითაც პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირთა წინააღმდეგ გამოძიების განახლება შესაძლებელია? — „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი, ადვოკატი **ლია მუხაშავრია** „ვერსიასთან“ განმარტავს, რომ შეწყალებული პირის მიმართ საქმის ხელახალი აღძვრა შეწყალებამდე არსებული მასალების მიხედვით დაუშვებელია, გამოძიება ხელახლა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოებს, თუ პროკურატურა შეწყალებულს ახალ ბრალდებას წაუყენებს:

## ვერსიანიუსი



### უფლისწული გიორგი ლევან ვასაძემ, გურამ და ირაკლი ბაგრატიონებმა მონათლეს

სვეტიცხოველში უფლისწული გიორგი მონათლეს. ნათლობის ცერემონია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შეასრულა. უფლისწულის ნათლია ბიზნესმენი ლევან ვასაძე, მიხეილ ახვლედიანი, გურამ და ირაკლი ბაგრატიონები არიან. ცერემონიას უფლისწულის მშობლები — ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი და დავით ბაგრატიონ-მუხრანელი ესწრებოდნენ.

ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლების ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და დავით ბაგრატიონ-მუხრანელის პირველი შვილი, გიორგი 2011 წლის 27 სექტემბერს, მადრიდში დაიბადა.

*„ფრონტნიუსი“*

ნიკა ჯანხოთელი

# რატომ ენდობა ღარიბაშვილს ივანიშვილი



## როგორ დაუახლოვდა ქიზიყელი ბიჭი მსოფლიოში ცნობილ მილიარდერს და რა გზა გაიარა პრემიერობამდე 31 წლის ირაკლი ღარიბაშვილმა

**ასე და ამგვარად, წლის ინტრიგა „დამთავრდა“ — ბიძინა ივანიშვილმა პრემიერის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ეს „ინტრიგა“ თითიდან გამოწოვილს უფრო ჰგავდა და აი, რატომ: კულუარებში მოარული ხმით, ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს მეხუთე შვილად აღიარებს; უფრო მეტიც, იმასაც ამბობენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ანუ მაშინ, როცა არსებობდა ეჭვი, რომ ვიღაცებს შესაძლოა, ივანიშვილის ლიკვიდაცია დაეგეგმათ, „ოცნების“ სულისჩამდგმელს ღარიბაშვილი მთელი თავისი ქონების განმკარგავად დაუნიშნავს. სხვათა შორის, ივანიშვილთან დაახლოებულმა წყარომ „ვერსიას“ სწორედ მაშინ უთხრა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, ადრე თუ გვიან, ქვეყანაში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა გახდებოდა... ერთი სიტყვით, უხეშად რომ ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის „მეორე მეა“, შესაბამისად, იმ პროგრამების განხორციელებას, რომელსაც ივანიშვილი, როგორც პრემიერი გეგმავდა, საფრთხე არ ემუქრება.**

მაინც, ვინაა ირაკლი ღარიბაშვილი და როგორ გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ნდობით აღჭურვილი პირი? — ახალი პრემიერი (ცხადია, „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა შს ყოფილ მინისტრს პრემიერის პოსტზე უპრობლემოდ დაამტკიცებს) კახეთიდან, კონკრეტულად, ქიზიყიდანაა. მართალია, ანტიოცნებელები მუდამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ღარიბაშვილის სიმამრი კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი თამაზ თამაზაშვილია, მაგრამ 31 წლის პრემიერის კარიერულ წინსვლაში სიმამრის როლი, პრაქტიკულად, უმნიშვნელოა...

ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ცოდნის ამაღლება საფრანგეთში გადაწყვიტა და, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, პარიზში ათასი დოლარით გაემგზავრა, სადაც, სწავლის პარალელურად, მიმტანადაც მუშაობდა...

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ორი არჩევანი ჰქონდა — მუშაობა ან პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციაში უნდა დაეწყო, ან „ქართუ ბანკში“. გულმა „ქართუსკენ“ გაუწია... ახალგაზრდა თანამშრომელი მილიარდერი ივანიშვილის ყურადღების ცენტრში მოხვდა და... ერთ დღესაც, როგორც ზემოხსენებულ ინტერვიუში ღარიბაშვილი აცხადებს, ივანიშვილმა დაურეკა და განუცხადა, ჩემს თანაშემწეობას გთავაზობო...

ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი კრიზისული სიტუაციების მართვის დიდოსტატია და, ამასთან, არც ადამიანებში ცდება, თურმე. ქვეყანაში, ერთი შეხედვით, კრიზისული სიტუაცია არაა, მაგრამ მოგეხსენებათ, მედალს მეორე მხარეც აქვს ანუ არავინ კამათობს, რომ 2012 წლის პირველ ოქტომბერს ხალხმა „ოცნებას“ მხარი სწორედ ივანიშვილის პერსონის გამო დაუჭირა და უცებ, ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას იღებს. ადამიანებისთვის, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილი მხოლოდ სამართლიანობას კი არ აღადგენდა, არამედ სხვა, მათ შორის, სოციალურ პრობლემებსაც მოაგვარებდა, ეს გადაწყვეტილება, ცხადია, შოკისმომგვრელი იყო, თუმცა შემცვლელის წარდგენისას, ივანიშვილმა საზოგადოება მკაფიო მესიჯით მიახვედრა, რომ ღარიბაშვილი მისი კურსის ღირსეული გამგრძელებელი იქნება.

**„შემთხვევითი არ არის პრემიერის პოსტის გადაცემა ირაკლიზე, ამას იმსახურებს და მეც და ჩემი გუნდის წევრებიც დარწმუნებულნი ვართ, რომ ღირსეული პრემიერ-მინისტრი იქნება... ხასიათიც თუ გინდათ, არის ტიპურად კახელი კაცი, უაღრესად გულწრფელი და ნაღდი კაცი, ძალიან წესიერი კაცია. ვიცით, რომ ახალი კონსტიტუციით, რომელიც ინაუგურაციის შემდგომ ამოქმედდება, უმაღლესი ხელისუფალი იქნება პრემიერი — ის ქვეყნის პირველი პირი იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მერხიდან უყვართ მას და მის მეუღლეს ერთმანეთი. ტრადიციული ოჯახის შემქმნელი პრემიერი ეყოლება საქართველოს. ირაკლის მშობლები, სიდედრი და სიმამრი, როგორც წესი, შვებულებას ერთად ატარებენ. ეს ძალიან კარგია. თქვენ იცით ჩემი გართულება ოჯახზე და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. გავიხსენებდი, როგორია ჩვენი მომავალი პირველი ლედი: პოლიტიკაში რომ შემოვედი, დაიჭირეს ნუნუკას მამა, თამაზ თამაზაშვილი. ჰქონდათ ერთადერთი მოთხოვნა, რომ ირაკლი არ უნდა დამდგარიყო ჩემს გვერდით. ნუნუკას ურეკავდნენ, ეუბნებოდნენ, როდესაც გაიგებ, რომ მამაშენი ციხეში გულით გარდაიცვალა, შემდეგ, შენს მეუღლესაც წავიყვანთო. მე დავურეკე ნუნუკას და, მიუხედავად ამ ზარებისა, მითხრა, თუ საჭიროა და რამეში გამოვდგები, მეც დავდგები თქვენს გვერდითო... ირაკლიმ იცის შრომის ფასი. ვფიქრობ, საქართველოს ღირსეული პრემიერი ეყოლება“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად წარდგენისას.

მნიშვნელოვანი დეტალი: ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერებას თვით უმცირესობა ანუ ნაცმოძრაობაც დადებითად შეხვდა. ყოველ შემთხვევაში, გიგი წერეთელმა ღარიბაშვილის პრემიერის პოსტზე წარდგენას „ყველაზე ლოგიკური“ უწოდა: **„ვფიქრობ, თუ ვინმე შეძლებს, გაუძლვეს ამ საქმეს მინისტრთა კაბინეტიდან, ეს ღარიბაშვილია იმ მახასიათებლებითა თუ თვისებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება საჭირო იყოს მაღალი დონის მენეჯმენტისა და ეფექტური მოქმედებისთვის“.**

მართალია, პოლიტიკა ბიზნესი არაა, მაგრამ პრემიერობაც ერთგვარი მენეჯერობაა, ირაკლი ღარიბაშვილს კი მენეჯერობის დიდი გამოცდილება აქვს. შესაბამისად, ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პრემიერის პოსტზე ნაკლებ შეცდომებს დაუშვებს. ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ რაკი ბიზნესიდან მოდის, ბიზნესის „მარწუხებში მოქცევის“ სურვილი არ გაუჩნდება, პირიქით, კერძო სექტორს, განსაკუთრებით, წვრილ და საშუალო ბიზნესს ხელს შეუწყობს.

არიან ისეთი ექსპერტებიც, მაგალითად, ხათუნა ლაგაზიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ასაკიდან გამომდინარე, პრემიერის პოსტზე ღარიბაშვილის მთავარი ცდუნება, შეიძლება, ძალაუფლება აღმოჩნდეს. ცხადია, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ღარიბაშვილს ძალაუფლება ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, ვიდრე პოლიტიკაში ჩაერთვებოდა — მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გვერდით მუშაობა, როგორც იტყვიან, ხუმრობა არაა. შესაბამისად, „ძალაუფლების ცდუნება“, შეიძლება ითქვას, განვლილი ეტაპია...

რაც შეეხება შს ახალ მინისტრს, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ გაცხადებულა, თუ ვის წარადგენს ღარიბაშვილი თავის ყოფილ პოსტზე, თუმცა კულუარებში რამდენიმე ვერსია მუსირებს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ქვეყნის პირველი პოლიციელი, შესაძლოა, შს მინისტრის ამჟამინდელი მოადგილე ვახტანგ გომელაური გახდეს. გომელაური, როგორც იტყვიან, პროფესიონალი პოლიციელია — 90-იან წლებში სამთავრობო დაცვაში მუშაობდა, შემდეგ — დაცვის პოლიციაში, შს მინისტრის მოადგილეობამდე კი, პრემიერ ივანიშვილის დაცვის უფროსი გახლდათ.

ერთხანობას, ამბობდნენ, რომ შს მინისტრის პოსტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე დაიკავებდა, რომელიც ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია და როცა ამა თუ იმ დეპუტატს ივანიშვილთან შეხვედრა უნდა, თურმე, სწორედ ჩუბინიძეს ეკონტაქტება, თუმცა ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჩუბინიძე შს მინისტრად არ განიხილება და იგი სახელმწიფო დაცვაში დარჩება...

### ვერსიანიუსი

## კონსტიტუციით რა უფლებები აქვთ ახალ პრეზიდენტსა და პრემიერს



საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ოფიციალურად 17 ნოემბრის შემდეგ ეყოლება — 17 ნოემბერს გაიმართება ახლადარჩეული პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია, რის შემდეგაც მოქმედი მთავრობა უფლებამოსილებას მოიხსნის.

ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებიდან, დაახლოებით, ერთ კვირაში თანამდებობის დატოვებას გეგმავს ბიძინა ივანიშვილიც — კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან 24 ნოემბრისთვის უნდა გადადგეს.

ამასთან, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობა უფლებამოსილებას არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე მოიხსნის, ხოლო ნდობის გამოცხადება ახალი კონსტიტუციით დადგენილი წესებით მოხდება. ყველაფერ ამას 2010 წლის ოქტომბერში მიღებული კონსტიტუციური ნორმების ამოქმედება იწვევს.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ფიცს დადებს, ძალაში შედის ახალი ფორმის მმართველობის კონსტიტუციური მოდელი და ქვეყანა შერეული მმართველობის მოდელზე გადადის. ამოქმედდება შერეული მმართველობის ფორმა, რომელსაც ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო მოდელსაც უწოდებენ.

ახალი პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავებას მთავრობის ხელახალი ფორმირება მოჰყვება, რა დროსაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წარადგენს არა პრეზიდენტი, არამედ, პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი.

პრეზიდენტი ვალდებული იქნება, პრემიერ-მინისტრის პოსტზე სწორედ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დასახელებული კანდიდატი დანიშნოს.

კერძოდ კი, პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან შვიდი დღის ვადაში, საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ (ასეთი კი კოალიცია „ქართული ოცნებაა“) მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წამოაყენებს.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი შვიდი დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და ნდობის მისაღებად, სამთავრობო პროგრამასთან ერთად, პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტიც შვიდი დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

ახალი კონსტიტუციით, იზრდება მთავრობის უფლებამოსილებები და თავად მთავრობის ხელმძღვანელის ძალაუფლება. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავრობა ხდება, რომელიც მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. მთავრობის საქმიანობას მთლიანად პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მას და განახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე მთავრობის წევრების მოხსნა-დანიშვნისთვის პრეზიდენტის თანხმობა აღარ დასჭირდება და შესაბამის გადაწყვეტილებებს პრეზიდენტის გარეშე მიიღებს.

გარდა ამისა, თუკი დღემდე პრეზიდენტს კონსტიტუცია შესაძლებლობას აძლევდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობის სხდომა მოეწვია და მისი თავმჯდომარე ყოფილიყო, ახალი საკონსტიტუციო ნორმების გათვალისწინებით, პრეზიდენტი უფლებამოსილი იქნება, ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა მოითხოვოს და ამ განხილვაში მონაწილეობა მიიღოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# გოგა ხაინდრავა 20-წლიან ბრალდებებს პასუხობს

რუსუდან შელია
557-100-768

**საზოგადოების ნაწილი წარსულს დღემდე ახსენებს. ზოგი ამბობს, რომ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებაში მთავარი როლი შეასრულა, როცა ქაშუეთის ეკლესიიდან უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს ცეცხლი გაუხსნა. ზოგიც აფხაზეთის ომის დროს ქვეყნის ღალატში ადანაშაულებს. ნანობს თუ არა ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებას და რა ვერ აპატია საზოგადოებამ? — „ვერსიას“ ყოფილი მინისტრი, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა ესაუბრა.**

— გასაგებია, რომ საზოგადოების ნაწილი ბრალს სამოქალაქო ომის გაღვივებაში მდებს, მაგრამ რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ 17 სექტემბერს დამაკავეს და ოთხი თვის განმავლობაში, ციხეში ვიჯექი. თბილისში კი შეიარაღებული დაპირისპირება 21 დეკემბერს დაიწყო, მანამდე მშვიდობიანი მანიფესტაციები იმართებოდა. ჯარი თავდაცვის მაშინდელ მინისტრს, კიტოვანს ჰყავდა, მე, გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ჯაბა იოსელიანი მხედრიონიანად ციხეში ჩაგვსვეს და დაპირისპირება საკნიდან როგორ უნდა დამეწყო? როცა გამათავისუფლეს, თბილისი დაბომბილი და დანგრეული იყო, მე კი, 16 დღის ნაშიმშილარი, ქუჩებში ძლივს დავდიოდი.

— **არსებობენ მოწმეები, რომელთაც რუსთაველის გამზირზე იარაღით ხელში ახსოვხართ...**

— ვინც ამას ამბობს, ავადმყოფი და კერპთაყვანისმცემელია, მათ „ზვიადისტობას“ არც ვაკადრებ, რადგან ზვიად გამსახურდია, მასთან დაპირისპირების მიუხედავად, ინტელექტუალი იყო, ესენი კი ბნელები არიან და იტყუებიან! ვიმეორებ: როცა ციხიდან გამოვედი, თბილისში ომი მძვინვარებდა და რისი შეცვლა შემეძლო?

— **იმასაც ამბობენ, რომ ქაშუეთის ეზოდან მთავრობის სასახლის მიმართულებით პირველი ტყვია სწორედ თქვენ ისროლეთ, შემდეგ კი, 6 იანვარს, ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებსა და მთავრობის წარმომადგენლებს ცეცხლი გაუხსენით. სხვათა შორის, ამ ფაქტს თავის მოგონებებში ჯაბა იოსელიანიც იხსენებს.**

— ვინც ამას ამბობს, რევანშისტია და ვერაფრით მაპატია ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირება. ვიმეორებ: ციხეში უკანონოდ ვიჯექი და მთელმა მსოფლიომ სინდისის პატიმრად მაღიარა.

**რა თქმა უნდა, საქართველოში ყველა უბედურება ჩემგან დაიწყო. ომიც მე დავიწყე, ხან სიგუა ვიყავი, ხან — კიტოვანი და ხანაც — გამსახურდია... სისულელეა... დღესაც იგივე აზრზე ვარ და ვფიქრობ, აბსოლუტურად მართალი ვიყავი, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას დავუპირისპირდი. ეს იყო აბსოლუტურად გამოუცდელი ხელისუფლება, რომელიც საბოლოოდ, გამსახურდიას ცოლის გარემოცვის ხელში აღმოჩნდა. ამ ადამიანებმა არა მხოლოდ გამსახურდია, ქვეყანაც დაღუპეს. მთავრობა შემთხვევითი ადამიანებით კომპლექტდებოდა. მაგალითად, როცა თენგიზ კიტოვანი თავდაცვის მინისტრი გახდა და 15-20 ათასი სამხედრო, იარაღიანურთ, ხელში ჩაიგდო, სამოქალაქო ომი ატეხა, შემდეგ აფხაზეთში შევარდა და იქაც კრახი განიცადა. ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში სწორედ გამსახურდიამ მოიყვანა; მეტიც — მაშინ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტს მხარზე კოცნიდა და წმინდა გიორგის ეძახდა, მთელი საქართველო დუდაევის პლაკატებით ხელში დადიოდა და პატრიარქის სურათებს ჯვარი გადაუსვა. რა იყო ეს სიგიჟე? — ამას დრო გაარკვევს. ასე რომ, სამოქალაქო ომი გოგა ხაინდრავამ კი არა, მრგვალმა მაგიდამ დაიწყო, რომლის წევრებმა სკამები ვერ გაიყვეს და ქვეყანა დაანგრიეს.**



სთხოვს თუ არა თანამდებობას პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სკანდალური კინორეჟისორი

— **ამის შემდეგ აფხაზეთში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნეთ და თქვენს წინააღმდეგ ახალი ბრალდებებიც გაჩნდა ომის გაყიდვასთან, რუსებსა და აფხაზებთან ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით.**

— არ მინდა, ამ ადამიანებს ვუპასუხო... აფხაზეთში რისი გაკეთებაც შემეძლო, გავაკეთე — საომარი მოქმედებები ცხრაჯერ შევაჩერე, არძინბას შევხვდი, ალყაშემორტყმულ ზუგდიდში თერთმეტჯერ ვიყავი და ოჩამჩირეში ლოთი ქობალია ჩავიყვანე. მაშინ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ადამიანების ნაწილი გავაერთიანე, რადგან ვხვდებოდით, რომ აფხაზეთი ხელიდან გვეცლებოდა. დიახ, დავმარცხდით, მაგრამ ეს არ იყო იმის ბრალი, რომ ომი გაყიდული იყო. ამას ის ადამიანები ამბობენ, ვინც იქ ჩამოსვლა ვერ გაბედა, მითების შექმნით თავს იმართლებენ, რადგან მშიშრები არიან და ქვეყნის დასაცავად არაფერი გააკეთეს. როცა აფხაზეთის ომიდან ჩამოვედით, აქ ზოგიერთები ბიზნესმენები დაგვხვდნენ.

— **პირადი კეთილდღეობისთვის იარაღით არც სამეგრელოში ჩასულხართ?**

— ტყუილია! სამეგრელო ჩემი კუთხეა და „ზვიადისტებზე“ მეტად მიყვარს. ათასწლეულის მეგრული გვარი მაქვს და, როგორ ფიქრობთ, სამეგრელოში იარაღით ჩამსვლელი ვიყავი, ჩემს სახლსა და ოჯახში? ამ პროცესებში ორივე დაპირისპირებული მხარეა დამნაშავე, მაგრამ კიდევ უფრო დიდი დანაშაული საზოგადოების გულგრილობა იყო, რომელიც აფხაზეთის ომის პარალელურად, დუბაიში „ლუსტრებზე“ დადიოდა. აფხაზეთში სამშობლოს ბედი წყდებოდა, მაგრამ უმეცარი ხალხი საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა სექტები, „მამრიონები“, „მხედრიონები“ და ა.შ. ჩვენი ქვეყანა ჩვენივე ხელით დავაქციეთ! ეს ორივე მხარის ბრალი იყო, პირველ რიგში კი, ზვიად გამსახურდიასი, რომელიც მაშინ პრეზიდენტი იყო.

— **ამ განცხადებების გამო, საზოგადოების კრიტიკის ობიექტი კიდევ ერთხელ გახდებით...**

— სიმართლე სიმართლეა! ზვიად გამსახურდიას მიმართ ჩემი დამოკიდებულება არასოდეს დამიმალავს. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ კიტოვანი, სიგუა და ვაჟა ადამია წარმოადგენდნენ, რომელიც თბილისის ქუჩებში საკუთარი ბეტეერით დადიოდა. ლოთი ქობალიას გვარდიამ კი თბილისი დაანგრია. რა გავაკეთო, თუ საზოგადოება დღემდე ჩემზე ლაპარაკობს? დარწმუნებული ვარ, ამას მხოლოდ ის 350 ათასი ადამიანი ამბობს, რომელმაც 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმა საკუთარი შვილების ცოცხით გაუპატიურებას მისცა. დიახ, ამ ადამიანებისთვის მტერი და უვარგისი ვარ და ვერავის გადავაკეთებ, ჩემთვის ისინი კეთროვნები არიან!

— **ვისაც თქვენი მისამართით კითხვები უჩნდება, ყველა კეთროვანია?**

— აბა, სხვანაირად ვერ ვხსნი, რომ ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში ხმას აძლევენ.

— **წლების შემდეგ, ზურაბ ჟვანიას რეკომენდაციით, სახელმწიფო მინისტრად კიდევ ერთხელ დაინიშნეთ, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საზოგადოებას თქვენი მოღვაწეობიდან ნაკლები შედეგი დაინახა და შეკითხვები გაუჩნდა. ისიც ითქვა, რომ ეუთო-ს გრანტები მიითვისეთ...**

— ესეც დიდი ტყუილია! 2005 წელს ცხინვალში საომარი მოქმედებების დაწყება სააკაშვილს მე გადავაფიქრებინე, რაშიც ზურაბ ჟვანიამაც მხარი დამიჭირა. ცხინვალიდან უამრავი დაპატიმრებული და დაკავებული ქართველი გამოვიყვანე. ბოლოს და ბოლოს, რუსების „კამანდირი“, რომელმაც შემდეგ ცხინვალი მილეწ-მოლეწა, მაშინ ჩემს ბრძანებებს ასრულებდა. ახალგორსაც ვაკონტროლებდი, რომელიც მერაბიშვილმა და სააკაშვილმა რუსებს აჩუქეს. ვერ ვიტყვი, რომ წარმატებული მინისტრი ვიყავი, რადგან ასეთად მხოლოდ იმას მივიჩნევ, ვინც რეალურ შედეგს აღწევს, თუმცა ყველაფერი ისე რომ გაკეთებულიყო, როგორც სააკაშვილი ირწმუნებოდა, ცხინვალის პრობლემის მოგვარება რთული არ იყო. როცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა, იქ კონფლიქტი თითქმის ამოწურული იყო. როკის გვირაბში ჩვენი თანამოქალაქეები თავისუფლად დადიოდნენ, ცხინვალელები გორში ვაჭრობდნენ და ავტობუსიც კი დადიოდა მარშრუტით — „თბილისი-ცხინვალი“. რაც შემდეგ წლებში მოხდა მხოლოდ ლომაიას, ბოკერიას, სააკაშვილისა და მერაბიშვილის ნამოქმედარია.

— **ოპოზიციაში თქვენი ყოფნაც სკანდალურ გამონათქვამებს უკავშირდება. უცენზუროდ თბილისელებსაც მიმართეთ...**

— მაშინ ფაქტის კონსტანტირება მოვახდინე და თბილისის მდგომარეობა აღვწერე. 6 მაისს, გიორგობას, ვიგინდარა და თაღლითი მერაბიშვილი აღლუმს მართავდა, მთელმა თბილისმა კი ეს „შეჭამა“. ჩემი ნათქვამი არ ესიამოვნათ და ცოცხები და ხელკეტები მოეწონათ? ან ქუჩაში დახოცილი ბავშვები, 7 ნოემბერს დაჩეხილი საზოგადოება თბილისისთვის სასიამოვნო იყო? საბედნიეროდ, დღეს საზოგადოება ბევრად გაზრდილი და სასახელოა.

— **იქნებ საზოგადოება მაშინდელ ოპოზიციაში ლიდერს ვერ ხედავდა და თქვენს მიმართ უნდობლობას ამიტომ იჩენდა?**

— შესაძლოა, თუმცა მაშინდელმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ სააკაშვილს არჩევნები მოუგო. მაშინ ქალბატონმა ბურჯანაძემ სააკაშვილს გაყალბებული არჩევნები „გაუპრავა“, თუმცა მოგვიანებით, შეცდომა აღიარა და ახლა პრეზიდენტობაზე პრეტენზია აქვს. ეს ქართული საზოგადოების პარადოქსია. სხვათა შორის, რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობა დღესაც ვერ მპატიობს, რომ ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატად ლევან გაჩეჩილაძე დავასახელე და არა დავით უსუფაშვილი, თუმცა ცხოვრებამ აჩვენა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. დათო დღევანდელი დღისთვის შემოვინახე და ის პარლამენტის საუკეთესო თავმჯდომარეა.

— **რესპუბლიკელებთან დღესაც უთანხმოება გაქვთ?**

— ჩემი ძმა რესპუბლიკელია და, როგორ შეიძლება, ამ ადამიანებთან დაპირისპირებული ვიყო. უბრალოდ, ეს არის პარტია, რომელსაც თავისი ჩამოყალიბებული აზრი აქვს. როცა ჩემს ძმასთან ვკამათობ, მთელი სახლი ზანზარებს, მაგრამ ეს ჩვენს ურთიერთობაზე არ აისახება.

— **ისე, ბატონო გოგა, ითქვა, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე თქვენი კანდიდატურა განიხილებოდა, თუმცა ცნობილია, რომ ამ პოსტზე გიორგი მარგველაშვილის რჩეული ირინა იმერლიშვილია...**

**— არ მგონია, უშიშროების საბჭოს მდივნად ირინა იმერლიშვილის დანიშვნა საუკეთესო გადაწყვეტილება იყოს, რადგან ამ თანამდებობაზე რომელიმე პარტიის წარმომადგენელი არ უნდა ინიშნებოდეს. იმერლიშვილს შესაბამისი გამოცდილებაც აკლია, საზოგადოებამ არც კი იცის, რას წარმოადგენს. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ სააკაშვილის დროს გენერალი გახდა, რაც მსოფლიოში იშვიათი მოვლენაა, თუმცა რა დამსახურებისთვის მიიღო ეს სამხედრო წოდება, ჩემთვის გაუგებარია.**

რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, ეს თანამდებობა რომ მინდოდეს, წინ არაფერი მიდგას. დიდი ხანია, გიორგის ახლო მეგობარი ვარ, გამარჯვების დღესაც აივანზე მასთან ერთად ვიდექი და ხელს არაფერი მიშლიდა, პირდაპირ მეთქვა, უშიშროების საბჭოს მდივნობა მინდა-მეთქი.

— **თანხმობას მაშინვე მიიღებდით?**

— არ ვიცი, მაგრამ ასეთი სურვილი და განზრახვა არ მაქვს. როგორც ჩანს, არც გიორგის. შემოთავაზების შემთხვევაშიც არ დავთანხმდებოდი, რადგან სხვა ინტერესები გამიჩნდა, რაც პოლიტიკიდან ძალიან შორსაა.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

# დიმიტრი შაშკინი: „ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება გარდაუვალია!“

## განათლების, სასჯელაღსრულებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ნაციონალების მთავარ შეცდომებზე ალაპარაკდა



რუსუდან შელია
557-100-768

**ხელისუფლების მიერ განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს წარუმატებლად მიიჩნევს და ამბობს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეორე თვეა ხელფასები არ გაცემულა. მისივე მტკიცებით, ნაციონალური მოძრაობის წევრებზე შექმნილი მითები ნელ-ნელა ინგრევა, რასაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესიც მოწმობს. როდის დაუშვეს შეცდომა და ვინ აგებს პასუხს ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის დროს ციხეებში ძალადობაზე? — „ვერსიის“ ამ და სხვა კითხვებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების, ასევე განათლების და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი პასუხობს.**

— როცა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლება გადავაბარეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი 62 მილიონ ლარს აღემატებოდა, ახლა კი, ბიუროკრატიული პროცესების გაჭიანურების გამო, განათლების სამინისტრო თსუ-ს საშტატო განრიგს არ უმტკიცებს, არადა, ეს, რეალურად, ერთი დღის საქმეა... ამიტომაც, მეორე თვეა, უნივერსიტეტში საშტატო განრიგისთვის განკუთვნილი ხელფასი არ რიგდება. მძიმე ვითარებაა პროფსასწავლებლებშიც, სადაც კომუნალური გადასახედებისთვის საჭირო ფინანსების გადარიცხვა გვიანდება და სასწავლებლები, პრაქტიკულად, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

**— ამის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ თქვენ ავრცელებთ. ორთვიან უხელფასობას უნივერსიტეტის თანამშრომლები მშვიდად, პროტესტის გარეშე რატომ ეგუებიან?**

— ინფორმაცია სწორედ უნივერსიტეტში მომუშავე კონკრეტული პირებისგან მაქვს, თუმცა როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ სურთ, ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირონ. ზოგადად, ახალი ხელისუფლების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება, მაქსიმუმ, ორი წლის განმავლობაში ნარჩუნდება, შემდეგ კი საზოგადოების პროტესტი ბევრად შესამჩნევი ხდება. ჩვენთვის, ნაციონალური მოძრაობისთვის მთავარ ამოცანას მასწავლებლებისთვის თვიური ხელფასის ათას ლარამდე გაზრდა წარმოადგენდა, თუმცა მაშინ, ყველაფერს ერთბაშად გვთხოვდნენ. ბევრს ეგონა, რომ განათლების სისტემა მარტივი სამართავი იყო და ყველაფერი თავისით კეთდებოდა. მართალია, ერთი წლის განმავლობაში პედაგოგის ხელფასი 75 ლარით გაიზარდა, მაგრამ საათების გადანაწილების გამო, მასწავლებელთა უმრავლესობამ ეს ვერც კი იგრძნო. განათლების მინისტრი ვერ დაასახელებს ერთ მასწავლებელსაც კი, რომელსაც ათასლარიანი ხელფასი დაენიშნა.

**— რამდენად სამართლიანია, როცა პედაგოგისთვის ხელფასის ათას ლარამდე გაზრდის მოთხოვნით, ხელისუფლებას განათლების ყოფილი მინისტრი მიმართავს, რომლის გუნდმაც ცხრა წლის განმავლობაში ანაზღაურების გაზრდა ვერ მოახერხა?**

— პირადად მე, მხოლოდ იმ პერიოდზე ვაგებ პასუხს, როცა განათლების მინისტრი გახლდით. ჩემი მინისტრობისას პრიორიტეტს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება და ხელფასის შესაბამისი დონის მიხედვით დანიშვნა წარმოადგენდა. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი საკვალიფიკაციო გამოცდები შეურაცხმყოფელად ჩაატარა. სკეპტიკოსებს შევახსენებ, რომ ჩემი მინისტრობის დროს ათასლარიან ხელფასს 2000-მდე მასწავლებელი იღებდა. ამიტომ არ მგონია, ეს ხელისუფლება ეფექტურად მიიჩნეოდეს.

**— თქვენი კოლეგის, ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი რამდენად ეფექტურად გეჩვენებათ, რომელმაც ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა? ისე, დიდი ხანია, საზოგადოება მათ შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობს.**

— ბაჩო ახალაიასა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირებაზე საუბარი ზღაპარია. როგორც წესი, ერთმანეთს ერთი დონისა და რანგის ფიგურები უპირისპირდებიან, ამიტომ ყოფილი მინისტრისა და პრეზიდენტის დაპირისპირება წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**— ბაჩო ახალაია გუნდის გავლენიან წევრად აღარ აღიქმება?**

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებამ ნახა, რომ მითები, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იქმნებოდა, მხოლოდ არაარგუმენტირებული ჭორი იყო. ბაჩო ახალაიას რა აღარ დააბრალეს, თუმცა სასამართლოში, რეალურად, ვერაფერი დაამტკიცეს. მეც მაბრალებდნენ, რომ სისხლს ვსვამდი და ბავშვების ხორცით ვიკვებებოდი. სამწუხაროდ, საქართველოში ყველას აქვს უფლება, ბრალდებები დაუსაბუთებლად გაავრცელოს, აშშ-ში კი ამისთვის ნებისმიერ პიროვნებას პასუხს სთხოვენ.

**— არგუმენტებს თქვენს ყოფილ თანაგუნდელებს, მათ შორის, ელენე თევდორაძესაც მოსთხოვთ, რომელმაც განაცხადა, რომ ციხეში ძალადობის პოლიტიკა გიგა ბოკერიასა და ლევან რამიშვილის ბრძანებით დაინერგა?**

— ელენე თევდორაძე არაადეკვატური გახდა. სასჯელაღსრულების მინისტრი 9 თვის განმავლობაში ვიყავი და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია თქმა, რომ გიგა ბოკერიას ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე ინტერესი ერთხელაც არ გამოუჩენია, იგივეს ვიტყვი ლევან რამიშვილზეც... თუ ბაჩო ახალაიას დროს მსგავსი რამ ხდებოდა, მარტივად შეეძლო, ქუდი დაეხურა და თანამდებობიდან წასულიყო.

**— იმასაც უარყოფთ, რომ ციხეებში პატიმრების რაოდენობა დაფინანსების მისაღებად შეგნებულად იზრდებოდა?**

— სისულელეა! მინისტრი რომ გავხდი, მუდმივად იმაზე ვფიქრობდი, ციხიდან რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაგვეთავისუფლებინა. ბევრად მარტივია სისტემის მართვა, როცა ციხეში ნაკლები პატიმარი გყავს, ამიტომაც შეწყალებასაც ხშირად ვაცხადებდი და ვცდილობდი, მსჯავრდებულები პირობით ვადამდე ადრე გამეთავისუფლებინა.

**— აბა, პატიმრების რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე რატომღა ვიყავით?**

— ამ შემთხვევაში, საქართველოში 2003 წლამდე არსებული კრიმინალური ვითარება უნდა გავიხსენოთ. ათი წლის წინ, მოქალაქეებს სახლიდან გასვლის ეშინოდათ... სხვათა შორის, იმხანად, ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ციხეში ექვსი ათასი ქართველი პატიმარი იჯდა. მაშინ ამ სახელმწიფოდან წერილიც კი მივიღე, ერთ ციხეს აგიშენებთ, ოღონდ თქვენი პატიმრები წაიყვანეთო. ეს არის საზოგადოება, სადაც წლების განმავლობაში „ქურდული ინსტიტუტი“ კულტივდებოდა. ე.წ. კანონიერი ქურდი მოსამართლეც იყო, პოლიციელიცა და სხვა მნიშვნელოვანი ფიგურაც, რამაც საზოგადოების აზროვნებაზე გავლენა მოახდინა. დარწმუნებული ვარ, ბევრს ახსოვს პერიოდი, როცა ე.წ. ქურდი წარმატების სიმბოლოდ მიიჩნეოდა და არც ასეთი ადამიანის შემოსავლები წარმოადგენდა საზოგადოების განხილვის თემას.

**— როგორც ვატყობ, ცდილობთ, ციხეებში არსებული ძალადობა გაამართლოთ... როგორც სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი, საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობთ?**

— შესაძლოა, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შეჩერება დაგვაგვიანდა, მაგრამ თავის დროზე ეს აბსოლუტურად რელევანტური და საჭირო გადაწყვეტილება იყო. ვაღიარებ, ეს პროცესი უნდა შეგვეჩერებინა და კანონმდებლობის ჰუმანურობაზეც უნდა გვეზრუნა. რთულია საუბარი, რა იყო სწორი ნაბიჯი და როდის დავუშვით მთავარი შეცდომა, მაგრამ აბსოლუტურად კრიმინალური ქვეყანა ჩავიბარეთ, თან გვქონდა განცდა, რომ როგორც კი კანონმდებლობა შემსუბუქდებოდა, იგივე შედეგს მივიღებდით. შესაძლოა, ეს ჩვენი მთავარი შეცდომა იყო.

**— საზოგადოება ნაციონალურ მოძრაობას სახელმწიფო ქონების მითვისებაშიც ადანაშაულებს... პარტიის მთავარ ბუღალტრად აღიარებული დავით კეზერაშვილიც დაკავებულია.**

— ნაციონალურ მოძრაობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ქართული ოცნება“ აფინანსებს. რაც შეეხება დავით კეზერაშვილს, ის ინტერპოლის სიაში ვერ ჩასვეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მის წინააღმდეგ შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს... მთავარ ბუღალტრობაზე საუბარი შეთქმულების თეორიის ნაწილად მიმაჩნია.

**— შეთქმულების თეორიის ნაწილად მიიჩნევთ ხმას მიხეილ სააკაშვილის დაკავების შესახებაც?**

— თუ პოლიტიკური ნება და დაკვეთა არსებობს, ნებისმიერი ადამიანის დაკავება შესაძლებელია. დარწმუნებული ვარ, საღად მოაზროვნე თითოეული ადამიანი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა ან მისი დაკავების მცდელობა, ქვეყანას კარგ შედეგს ვერ მოუტანს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება.

**— რატომ? ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი იმის თქმასაც არ ერიდება, რომ სააკაშვილი პარტიისთვის ტვირთად იქცა.**

— მიხეილ სააკაშვილი პარტიაში ყველაზე რეიტინგული ფიგურაა და ხელისუფლებაში მისი დაბრუნებაც გარდაუვალია. ამ დონისა და წონის პოლიტიკური ლიდერი ნაციონალურ მოძრაობაში მეორე არ მეგულება. მეტიც, სააკაშვილის ექვივალენტური პოლიტიკური წონის ლიდერი ევროპაშიც იშვიათია. ასე რომ, იგი ბევრად მოძლიერებული დაბრუნდება ქართულ პოლიტიკაში, ვიდრე აქამდე იყო.

**— ფიქრობთ, ნაციონალურ მოძრაობას საზოგადოება ხელისუფლებაში ისევ მიიღებს?**

— თუ არჩევნების შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ფაქტია, ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.

„ქართული ოცნება“ კი კოალიციაა, რომელშიც შემავალ პარტიებს ცალ-ცალკე სუბიექტად 20%-ზე ბევრად ნაკლები რეიტინგი აქვთ. კოალიცია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფენომენია და საპრეზიდენტო არჩევნებშიც გიორგი მარგველაშვილის მიერ მიღებული 62% მთლიანად ივანიშვილის დამსახურებაა.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში დავით ბაქრაძის მეორე ადგილი ბიძინა ივანიშვილმა ამომრჩევლის პასიურობით ახსნა...**

— ამის თავად ივანიშვილსაც არ სჯერა, რადგან მან მომავალ პრემიერად კაბინეტის ყველაზე გავლენიანი და მისთვის სანდო ადამიანი ირაკლი ღარიბაშვილი დანიშნა. ივანიშვილს სერგეენკო ან გიორგი კვირიკაშვილი რომ დაესახელებინა, ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკური შედეგით კმაყოფილია, თუმცა როგორც ჩანს, მას პოლიტიკური გუნდის მომავალი პერსპექტივა ანერვიულებს.

**— ირაკლი ღარიბაშვილის გარეშე ბიძინა ივანიშვილი კოალიციის ერთიანობას ვერ შეინარჩუნებდა?**

— აქ ძალაუფლების შენარჩუნებაზეა საუბარი. შეიძლება, ვინმეს აქვს ილუზია, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური სცენიდან გაქრება, მაგრამ ეს განცდა ბიძინა ივანიშვილს არ ეტყობა და ის პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადება. რაც შეეხება მომავალში ივანიშვილის გავლენას მთავრობაზე, ეს დაახლოებით, იანვარ-თებერვალში გამოჩნდება, როცა პრემიერი სამოქალაქო სექტორიდან მთავრობას შენიშვნებს მისცემს. თუ აღმოჩნდა, რომ უკვე ყოფილი პრემიერის კრიტიკაზე მთავრობა მყისიერად რეაგირებს, ბიძინა ივანიშვილის გავლენაზე საუბარი არგუმენტირებული იქნება.

ვერსიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილის თქმით, რესპუბლიკური პარტია საქართველოში ყველაზე თანმიმდევრული, სტაბილური და ბრძენი პარტიაა



რესპუბლიკური პარტიის რიგით მეთხუთმეტე ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ იყო, როცა პოლიტიკაში მოსვლისას პირველი რესპუბლიკელები შეარჩია. ივანიშვილის შეფასებით, ეს მისთვის საქართველოში სამაგალითო პარტიაა, 35 წელია, რესპუბლიკელები საქართველოში არსებობენ, ზოგადად, ისტორიისთვის დიდი დრო არ არის, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ძალიან დიდი დროა.

ივანიშვილის განცხადებით, მისასალმებელია, რომ რესპუბლიკური პარტიის ყველა თავმჯდომარე პარტიაში დღემდე რჩება და ესეც სამაგალითოა ამ თვალსაზრისით. **„თქვენ შეიტანეთ მნიშვნელოვანი წვლილი ბოლო დროის გარდაქმნებსა და მიღწევებში, რაც ერთად შევძელით. არ არსებობს თქვენზე თანმიმდევრული პარტია საქართველოში და ეს ჩემთვის სამაგალითოა“,** — მიმართა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს ბიძინა ივანიშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ პარტია სამომავლოდაც ბევრ პოლიტიკურ ვარსკვლავს აღუზრდის ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს.

*„ინტერპრესნიუსი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12




# გაერო-ს სანქცია და ქართული „საჰაერო თამაშების“ ირანული ფესვები

# რატომ ჩამოართვეს „ფლაი ჯორჯიას“ საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი

**სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, 2013 წლის 17 ოქტომბერს, ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი ჩამოართვა. მოქმედი კანონმდებლობით, ავიაგადამზიდავი ფრენის ნებართვას ავტომატურად იმ შემთხვევაში კარგავს, თუ ოპერირებისთვის 2 თვითმფრინავზე ნაკლები აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, „ფლაი ჯორჯიას“ კუთვნილი „ეარბუსები“ სალიზინგო კომპანიამ დაიბრუნა. 17 ოქტომბერსვე, „ფლაი ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიამ ფრენები დროებით შეწყვეტა, ამ გადაწყვეტილების მიზეზად კი კომპანიაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და საორგანიზაციო სამუშაოები დასახელდა.**



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან**

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 674838 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B13105489 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 25/10/2013 18:01:04 |

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს ფლაი ჯორჯია |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გრ. ხანძთელის ქ., №4 |
| სხვა მისამართი: | საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა, №50/18, IV კორ. სართ 10 |
| ელექტრონული ფოსტა: | info@flygeorgia.com |
| ტელეფონი: | 271-00-00 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 404400046 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 13/05/2011 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა |

**ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები**

- R0052324, , ჰოუშენგ ჰოსეინფორ, სენტ-კიტსი და ნევისი, დირექტორი, ,

**პარტნიორები**

| მფლობელი | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 01024001671, ივანე ნადაშვილი, | 5.00000000% | |
| 01024017854, მერაბ ჩიხრაძე, | 15.00000000% | |
| R0052900, , ჰოუშენგ ფარსუდეჰ, სენტ-კიტსი და ნევისი, | 25.00000000% | |
| 404857749, შპს ქორფორეით ლეგალ ქონსალთინგ - ჯორჯია , | 15.00000000% | |
| 406075081, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Caucasus Energy, | 40.00000000% | |

ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ პრობლემები სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო. საერთაშორისო სალიზინგო კომპანია „აილეფსმა“ „ფლაი ჯორჯიას“ კუთვნილი „ეარბასის“ ტიპის თვითმფრინავები ჩამოართვა. გავრცელებული ინფორმაციით, სალიზინგო კომპანიამ ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც „ფლაი ჯორჯიამ“ აღებული ვალდებულება არ შეასრულა და „აილეფსს“ კუთვნილი თანხა არ გადაუხადა. სექტემბრის დასაწყისში კი, „ფლაი ჯორჯიას“ კუთვნილი ერთ-ერთი ხომალდი ბრიუსელში „დააპატიმრეს“.

მოქმედი კანონმდებლობით, იმის გამო, რომ ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ თვითმფრინავები აღარ დარჩა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და კომპანიას საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი ჩამოართვა, თუმცა, როგორც კი ავიაკომპანია პრობლემას მოაგვარებს და თვითმფრინავებს დაიბრუნებს, სააგენტო სერტიფიკატს აღადგენს.

„ფლაი ჯორჯია“ საქართველოს ავიაბაზარზე 2011 წელს შემოვიდა. ჯერ კიდევ ორი წლის წინ „ვერსიაში“ ვწერდით, რომ კომპანია ირანის სამმა მოქალაქემ დააფუძნა. ჰოუშენგ ჰოსეინფორი „ფალი ჯორჯიას“ 25%-ს, ფურია ნაიები 25%-ს, მოჰამმად ბაგერ ნაჰვი კი — 50%-ს ფლობდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2012 წელს, „ფლაი ჯორჯიას“ დამფუძნებლებს შორის საქართველოს ორი მოქალაქე ჩნდება: ივანე ნადაშვილი — 5%-ით და მერაბ ჩიხრაძე — 15%-ით. ამ ცვლილების გამო, „ფლაი ჯორჯიას“ დამფუძნებლებს შორის წილები ასე გადანაწილდა: ჰოუშენგ ფარსუდეჰ, სენტ-კიტსი და ნევისი — 25%, შპს „ქორფორეით ლეგალ ქონსალთინგ ჯორჯია“ — 15%, საკონტროლო პაკეტის მფლობელი კი შპს „კაუკასუს ენერჯი“ ხდება, რომლის წილიც კომპანიაში 40%-ია. საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანია „ქორფორეით ლეგალ ქონსალთინგ ჯორჯიას“ 50%-50%-ს ვლადიმერ გაბრიელაშვილი და დიმიტრი ალექსიძე ინაწილებენ, „კაუკასუს ენერჯის“ 100%-იან წილს კი ჰოუშენგ ფარსუდეჰ, სენტ-კიტსი და ნევისი ფლობს.

„ვერსიაში“ იმასაც ვწერდით, რომ საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ ორი წლის წინ ორი სხვადასხვა ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯია“ იყო რეგისტრირებული. ერთ-ერთის დამფუძნებელი, ცნობილი ბიზნესმენი ირაკლი იაშვილი გახლდათ, რომელმაც მის მიერ დაფუძნებული ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯია“ გააუქმა. „ვერსიასთან“ საუბრისას ირაკლი იაშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ-ირანული ავიაკომპანიის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც ტელევიზიებმა ახალი ავიაკომპანიის გახსნის პომპეზური ცერემონიალი გადასცეს. მოკლედ, „ვერსიის“ ეჭვი, ირაკლი იაშვილს წილი იძულებით, მუქარით, ან შანტაჟით ხომ არ დაათმობინეს, არ გამართლდა, თუმცა ბიზნესმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის კუთვნილ ავიაკომპანიას მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნეს — საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატი შეუჩერეს.

რაც შეეხება ირანული „ფლაი ჯორჯიას“ ქართველ დამფუძნებლებს, ირაკლი იაშვილი მხოლოდ მერაბ ჩიხრაძეს იცნობდა, რომელიც მისი ნათესავი იყო, მაგრამ მხოლოდ „ვერსიიდან“ შეიტყო, რომ „ფლაი ჯორჯიაში“ წილი ჰქონდა. მოკლედ, ქართულ-ირანული „ფლაი ჯორჯია“ ქართულ ავიაბაზარზე სკანდალურად შემოვიდა — კანონის დარღვევაა, როდესაც საჯარო რეესტრში ორი, ერთი და იგივე სახელწოდების ავიაკომპანიაა დარეგისტრირებული. სხვათა შორის, ირაკლი იაშვილისთვის არავის მიუმართავს და არც ავიაკომპანიის სახელწოდების ნებართვა უთხოვია.

ავიაბაზარზე სკანდალურად შემოსული ქართულ-ირანული კომპანია „ფლაი ჯორჯია“ მორიგ სკანდალში მაშინ გაეხვია, როდესაც რამდენიმე თვის წინ, გავლენიანმა გამოცემა „უოლ სთრით ჯორნალმა“ დოკუმენტური მასალა გამოაქვეყნა და „ფლაი ჯორჯიას“ მფლობელი ირანელი ბიზნესმენები ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასთან კავშირში ამხილა. მასალის თანახმად, „ისლამური რევოლუციის დამცველების კორპუსმა“ საქართველოში 150 კომპანიისგან შემდგარი ქსელი შექმნა, რასაც აშშ-ს სანქციებისგან თავის არიდების მიზნით იყენებდა. ამ სტატიის საპასუხოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა მაშინვე განაცხადა, რომ ირანის მიმართ გაერო-ს სანქციების შესრულებას საქართველოს მთავრობა მკაცრად აკონტროლებს. ამის დასტურად, ირანის 150-მდე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს საბანკო ანგარიშებიც გაუყინეს.

ბირთვული იარაღის წარმოების გამო, გაერო-მ ირანის მიმართ სანქციები 2006 წლის დეკემბერში დააწესა, რომლითაც ირანში გარკვეული სახის მასალებისა და მოწყობილობების შეტანა აიკრძალა. საბანკო ანგარიშები გაუყინეს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ირანში ბირთვული იარაღის წარმოებასთან კავშირი ჰქონდათ. 2010 წლის ივნისში, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ამავე საკითხზე კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც ირანის მიმართ სანქციები უფრო გამკაცრდა. 2013 წლის 5 ივნისს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და იმ ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც ირანისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმის დაცვას აკვირდება, 2014 წლის 9 ივლისამდე მანდატი გაუხანგრძლივა. 2013 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ირანთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაუქმდა.

უკავშირდება თუ არა გავლენიანი გამოცემა „უოლ სთრით ჯორნალის“ სტატია ქართულ-ირანული ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ სკანდალს? რა კავშირშია ერთმანეთთან ირანის წინააღმდეგ დაწესებული გაერო-ს ეკონომიკური სანქცია და „ფლაი ჯორჯიასთვის“ საჰაერო ექსპლუატაციის სერტიფიკატის ჩამორთმევა? „ვერსია“ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელს, **გურამ ჯალაღონიას** დაუკავშირდა.

— 2013 წლის 17 ოქტომბერს გამოვეცი ბრძანება, რომლითაც ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის სერტიფიკატი გაუუქმდა. კანონის თანახმად, ვალდებული ვიყავი, ასეთი გადაწყვეტილება მიმეღო, რადგან ავიაკომპანიას თვითმფრინავები აღარ ჰყავდა...

**— იმ თვითმფრინავებზეა საუბარი, რომლებიც „ფლაი ჯორჯიას“ საერთაშორისო სალიზინგო კომპანიამ ჩამოართვა, არა?**

— დიახ, თორემ სააგენტო სერტიფიკატს საკუთარი ინიციატივით არც ერთ ავიაკომპანიას არ გაუუქმებდა. იმის გამო, რომ საერთაშორისო სალიზინგო კომპანიამ „ფლაი ჯორჯიას“ თვითმფრინავები ჩამოართვა, უფლება არ მქონდა, ეს კომპანია რეგისტრაციიდან არ მომეხსნა.

**— გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც „ფლაი ჯორჯიას“ ირანელი დამფუძნებლები ირანის მთავრობასთან თანამშრომლობაში ამხილა. თქვენს გადაწყვეტილებას საფუძვლად ეს სკანდალი ხომ არ დაედო?**

— არა, რადგან „ფლაი ჯორჯიას“ სერტიფიკატი წმინდა ტექნიკური პრობლემის გამო ჩამოვართვით. თუ „ფლაი ჯორჯია“ საერთაშორისო სალიზინგო კომპანიასთან შექმნილ პრობლემას მოაგვარებს, ამ სერტიფიკატს აღვუდგენთ. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლება არ აქვს, რომელიმე ავიაკომპანიის ფინანსურ საქმიანობაში ჩაერიოს, არც მონიტორინგის უფლება გვაქვს. ამერიკული გამოცემის ეს სტატია წაკითხული მაქვს, მაგრამ ეგ არაფერ შუაშია.

**„ვერსიას“ ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხათუნა მიქაცაძე ესაუბრება, რომელიც აცხადებს, რომ კომპანიის დამფუძნებლები ირანის მოქალაქეები არ არიან.**

— ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ გარშემო პრობლემები ხელოვნურად იქმნებოდა. ამ პრობლემების წარმოშობის წყარო და გზები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ვერსია არ არსებობს. მიუხედავად ამისა, თავს უფლებას არ მივცემ, ვარაუდის დონეზე გესაუბროთ და საზოგადოება შეცდომაში შევიყვანო. როგორც კი ყველა დეტალი დაზუსტდება, თუ რის გამო წარმოიშვა ეს პრობლემები, საზოგადოებას აუცილებლად შევატყობინებთ.

**— „ფლაი ჯორჯიას“ პრობლემები პოლიტიკურ ვითარებას ხომ არ უკავშირდება?**

— ის, რომ „ფლაი ჯორჯიას“ ფრენები დროებით შეუჩერეს, ხელისუფლების ცვლილებას არ უკავშირდება და ამას ხაზგასმით ვამბობ, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ავიაკომპანიას არც ფინანსური ხასიათის პრობლემები აქვს.

**— აბა, საერთაშორისო სალიზინგო კომპანიასთან რა სახის პრობლემა შეგექმნათ?**

— ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ იყო ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა.

**— „ფლაი ჯორჯიას“ დამფუძნებლები ირანის მოქალაქეები არიან და კომპანიას პრობლემა ამის გამო ხომ არ შეექმნა?**

— საჯარო რეესტრის ბოლო მონაცემებით, არც ერთი დამფუძნებელი ირანის მოქალაქე არ არის!

**P.S. „ვერსია“ ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ დამფუძნებლების შესახებ ოფიციალურ დოკუმენტსაც აქვეყნებს, რომელიც საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზეა განთავსებული. კომპანიის დამფუძნებლების შესახებ სამეწარმეო რეესტრში ბოლო ცვლილება 2013 წლის 25 ოქტომბერს განხორციელდა. მართალია, ამ ცვლილებით დამფუძნებლები, ძირითადად, საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ 25%-იან წილს ისევ ჰოუშენგ ფარსუდეჰ, სენტ-კიტსი და ნევისი ფლობენ. სხვათა შორის, „ფლაი ჯორჯიას“ 40%-იანი წილის მფლობელი კომპანია „კაუკასუს ენერჯის“ 100%-იან წილსაც ეს უკანასკნელი განკარგავს!**

## ვერსიანიუსი

# ფქვილი ძვირდება



იმპორტირებული ხორბალი გაძვირდა. როგორც ტრეიდერი კომპანია „აგრიკომის“ ხელმძღვანელმა, კოკი ოსიპოვმა bpn.ge-ს განუცხადა, ფოთის პორტამდე ტრანსპორტირებული 1 ტონა ხორბლის ფასმა, 25 აშშ დოლარით მოიმატა და 305 აშშ დოლარი შეადგინა. ტრეიდერის თქმით, ამჟამად საქართველოში მარცვლეულის 90% რუსეთიდან შემოდის. თავდაპირველად, მეზობელ ქვეყანაში ხორბლის მაღალ მოსავალს პროგნოზირებდნენ, მაგრამ რეალური მაჩვენებელი გაცილებით დაბალი აღმოჩნდა: **„ხორბლის გაძვირება ფქვილზეც აისახება. სავარაუდოდ, 1 ტომრის ფასი 2 ლარით გაძვირდება და 40 ლარს მიაღწევს“.** მისივე პროგნოზით, ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, ფასები იმპორტირებულ ხორბალზე კიდევ აიწევს: **„რუსულ პორტებში წყალი იყინება, რის გამოც ტრანსპორტირება გართულდება და საჭირო გახდება ყინულმჭრელების ორგანიზება. ეს ყველაფერი დამატებითი ხარჯია. ვფიქრობ, მარცვლეული ყოველთვიურად ტონაზე, საშუალოდ, 7-10 აშშ დოლარით გაძვირდება“.**

*BPN.ge*



# SOS! მარკეტებში „ნიკორას“ აყროლებული პროდუქცია იყიდება?!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**„ვერსია“ უკვე წერდა, რომ საქართველოს ბაზარი უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტითაა სავსე. იმ კომპანიებისა და საწარმოების სიაც გამოვაქვეყნეთ, რომლებიც სურსათის ეროვნული სააგენტოს მტკიცებით, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს უგულებელყოფენ. ჩამონათვალში კომპანია „ნიკორაც“ ფიგურირებდა, რომლის მიერ წარმოებული რძიანი სოსისი, თურმე, ჯანმრთელობისთვის საშიშია.**

ამჯერად „ნიკორას“ კიდევ ერთი პროდუქტის შესახებ გიამბობთ, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ქუჩაზე, სუპერმარკეტ „ბა-ჯი“-ში შევიძინეთ. დიეტური მოხარშული ძეხვი საკვებად ვარგისის შთაბეჭდილებას მანამ ტოვებდა, სანამ მისი დაჭრა გადავწყვიტეთ. შეფუთვა გავჭერით თუ არა, ხელში, ძეხვის ნაცვლად, ბლანტი ნივთიერება შეგვრჩა. ჯერ ეჭვი შეგვეპარა, გამყიდველმა პაშტეტი ხომ არ მოგვყიდაო, მაგრამ შეფუთვაზე გარკვევით ეწერა „დიეტური მოხარშული ძეხვი“. უცნაურ მასას სუნიც უსიამოვნო ჰქონდა. მაშინვე გავბრუნდით მაღაზიაში, სადაც განგვიცხადეს, რომ ძეხვი ნამდვილად გაფუჭებულია, მაგრამ მენეჯერის მოსვლამდე ვერც თანხას დაგვიბრუნებდნენ და ვერც პროდუქტს გამოგვიცვლიდნენ. დაახლოებით, 13 : 00 საათზე, გვითხრეს, მენეჯერი მაღაზიაში საღამოს 6 საათამდე არ დაბრუნდება და სხვა გზა არ გაქვთ, უნდა დაელოდოთო. მკითხველისთვის უინტერესო იქნება და დეტალურად არც გიამბობთ, რა თავხედურად და ცინიკურად გვესაუბრებოდნენ მაღაზიაში მაშინაც კი, როცა გავაფრთხილეთ, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოში დავრეკავდით. „სადაც გინდათ, დარეკეთ, რაც გინდათ, ის ქენით“, — ასე გამოგვისტუმრეს „ბა-ჯი“-ს წარმომადგენლებმა და ეს წინადადება, მათი ლექსიკიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე „ზრდილობიანი“ იყო.

გაფუჭებული პროდუქტი „ბა-ჯი“-სთვის უცხო არ არის. უკმაყოფილო მომხმარებელიც მაღაზიაში არაერთი შეგვხვედრია. ყურიც მოვკარით, პროდუქცია ვადაგასული არაა, მაგრამ უფუჭდებათ, რადგან ღამ-ღამობით, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით, მაცივრებს თიშავენ და ეს ლამის ყველა მარკეტისთვის აპრობირებული მეთოდიაო. ეს ინფორმაცია დამაჯერებელი მას შემდეგ გახდა, რაც მაღაზიაში რამდენჯერმე უცნაურ ფაქტს შევესწარით — დილით შესულებს, მაცივრებთან გუბეები გვხვდებოდა. როცა ვიკითხეთ, რა ხდებოდა, გვიპასუხეს, მაცივარი, ალბათ, დაზიანებულია, წყალი გასდისო. ასე რამდენიმე დღე გაგრძელდა... ბოლო დროს მაცივრებთან გუბეები აღარ გვინახავს, მაგრამ გაფუჭებული პროდუქტის გაყიდვას მაღაზიაში წერტილი მაინც არ დაესვა — რძის ამჟავებული პროდუქტი თუ თითქმის გამლღვალი შოკოლადი არაერთხელ „შემოგვაჩეჩეს“. ზოგი დავაბრუნეთ და უპრობლემოდ გამოგვიცვალეს, ზოგი, უბრალოდ, გადავაგდეთ და მომდევნო მისვლაზე მხოლოდ საყვედურით შემოვიფარგლეთ.

„ნიკორას“ ძეხვი კი, ბოლო წვეთი იყო.

საღამოს 6 საათიც მოვიდა და „ბა-ჯი“-ს მენეჯერთან შეხვედრის „ბედნიერება“ გვხვდა, თუმცა ჩვენს ურთიერთობას გასაუბრებას ნამდვილად ვერ დავარქმევთ, რადგან მენეჯერი პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა და ლამის აქეთ დაგვადო ვალი, გეგონება, ჩვენ მიგვეყიდა აქოთებული პროდუქტი. მოკლედ, მაღაზიის ხელმძღვანელებთან ვერას გავხდით. სამაგიეროდ, დაპირებისამებრ, საქმის კურსში სურსათის ეროვნული სააგენტო ჩავაყენეთ. მეორე დღიდან, მაღაზიაში დიდი ფუთფუთი დაიწყო — მარკეტი ერთი დღით დაიკეტა. მერე, მაცივრები გაიტანეს, დახლები გადააადგილეს, რამდენიმე დღის განმავლობაში კი ძეხვეულის განყოფილება ცარიელი იყო.

„ბა-ჯი“-ს მენეჯერს, ცხადია, მოვთხოვეთ პასუხი, რატომ ყიდიან მარკეტში მავნე პროდუქტს, მან კი თავი იმართლა, მაცივრებს ვამუშავებთ, ალბათ, ძეხვი თავიდანვე გაფუჭებული იყოო. მოკლედ, მაღაზიაში პასუხისმგებლობას იხსნიან და ხელს მწარმოებლისკენ იშვერენ. როგორია „ნიკორას“ წარმომადგენლების პოზიცია? — მათ პრეტენზია მაღაზიის მეპატრონეების მიმართ აქვთ. ამბობენ, როცა პროდუქტი მასობრივად არაა გაფუჭებული და მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა, კომპანია არაფერ შუაშია, ძეხვის შენახვის პირობებია დარღვეულიო.

რამდენ ხანში ერთხელ შეაქვს მაღაზიებში „ნიკორას“ ახალი პროდუქცია და აკონტროლებს თუ არა, რა პირობებში იყიდება ის? „ნიკორას“ მარკეტინგის განყოფილებაში განგვიცხადეს: **„კომპანია, ჯერ კიდევ ნედლეულის შერჩევის პროცესიდან დაწყებული, მკაცრად აკონტროლებს პროდუქციის ხარისხს და ამ მიმართულებით მხოლოდ მსოფლიო მასშტაბის მწარმოებლებთან თანამშრომლობს, რომლებიც ბაზარზე ავტორიტეტით სარგებლობენ, ფლობენ ხარისხის დამადასტურებელ სერტიფიკატებს და მათი პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ლაბორატორიულად დადასტურებულია. „ნიკორა“, ადგილობრივის პარალელურად, წარმოებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, არგენტინა, ბრაზილია, კანადა და აშშ) იმპორტირებულ ნედლეულს იყენებს. მკაცრად კონტროლდება ნედლეულის ხარისხი საქართველოს საზღვარზეც. ვეტერინარული სამსახური ამოწმებს, როგორც იმპორტირებული პროდუქტის საბუთებს, ასევე მის ხარისხსა და უვნებლობას. წარმოების პროცესში კი მისი კონტროლი ISO-ს სტანდარტების სრული დაცვით ხდება, როგორც მანქანა-დანადგარების მოვლის, ასევე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჰიგიენის პირობების დაცვის თვალსაზრისით. სარეალიზაციოდ გასვლამდე მოწმდება მზა პროდუქტი, როგორც ლაბორატორიულად (კომპანიის ფარგლებში არსებულ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში), ასევე საგემოვნო პარამეტრების მიმართულებითაც. ახალი პროდუქტის შეტანა ყველა მაღაზიაში ინდივიდუალურად — სავაჭრო ობიექტის რეალიზაციის მაჩვენებლისა და მოთხოვნის შესაბამისად ხდება. „ნიკორას“ სადისტრიბუციო სამსახურს შეუძლია, მაღაზიები ყოველდღიურად მოამარაგოს“.**

„ნიკორას“ წარმომადგენლების განმარტებით, მარკეტ „ბა-ჯი“-ში ახალი პროდუქცია, დაახლოებით, 3-4 დღეში ერთხელ შეაქვთ. იმის კონტროლი კი, რამდენადაა მაღაზიაში შენახვის პირობები დაცული, მათი პრეროგატივა არაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მათი ინტერესიცაა, 2000-ზე მეტ მაღაზიას, სადაც კომპანიას პროდუქცია შეაქვს, მუდმივად, ვერ გააკონტროლებენ. **„კომპანია აქტიურად აკონტროლებს პროდუქტის განახლებას, მის ვადებსა და შენახვის პირობებს საფირმო ქსელში ანუ „ნიკორას“ სუპერმარკეტებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენს სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელი მსგავს პრობლემას არასოდეს გადააწყდება. რაც შეეხება სხვა სუპერმარკეტებს, აქ ვადისა და შენახვის პირობების დაცვა, უპირველესად, თავად მაღაზიის ადმინისტრაციის ინტერესებსა და მოვალეობაში შედის. ობიექტების სიმრავლე, ხშირად კი ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მაღაზიის ადმინისტრაცია „ნიკორას“ წარმომადგენლებს არ აძლევს უფლებას, დახლები შეამოწმონ, კომპანიის მხრიდან რეგულარულ კონტროლს შეუძლებელს ხდის. ამ შემთხვევაში, „ნიკორა“ პასუხს აგებს მაღაზიების ხარისხიანი პროდუქციით დროულად მომარაგებაზე, პროდუქტის ვადებისა და შენახვის პირობების კონტროლი კი სრულად სავაჭრო ობიექტებს ეკისრებათ“,** — განმარტავენ „ნიკორაში“.

კომპანიაში ისიც გავარკვიეთ, რომ დიეტური მოხარშული ძეხვი აუცილებლად 0-8 გრადუს ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს, რადგან უფრო მაღალ ტემპერატურაზე, შეიძლება, რამდენიმე დღეში გაფუჭდეს. პროდუქტის გაფუჭებას ხელს მაცივრების სისტემატური ჩართვა-გამორთვაც უწყობს.

საბოლოოდ, კვლავ გაურკვეველია, ვისი დამსახურებით შევიძინეთ მარკეტში გაფუჭებული ძეხვი. „ვერსიის“ კომპეტენცია არაა, „ბა-ჯი“-სა და „ნიკორას“ შორის მტყუან-მართალი არკვიოს. ეს, ალბათ, არც დაზარალებული მოქალაქეებისთვის იქნება გადამწყვეტი, რადგან მომხმარებლისთვის მთავარია, ხარისხიანი, სალი, ჯანმრთელობისთვის არამავნე პროდუქტი მიიღოს, რაზეც მწარმოებელიცა და მომწოდებელიც ერთნაირად უნდა ზრუნავდნენ. შესაბამისად, უვარგისი პროდუქციის გაყიდვაზე პასუხისმგებლობაც, მეტ-ნაკლებად, მარკეტსაც უნდა დაეკისროს და კომპანიასაც!

## ვერსიანიუსი

# 15 ორგანიზაცია პარლამენტს მიმართავს

საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტს მოუწოდებენ, არ მიიღოს კანონი, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აწესებს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის.

15-მა ორგანიზაციამ აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართვა გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

**„ხელმომწერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები უარყოფითად ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას, მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ.**

**საქართველოს პარლამენტის მიერ განიხილება კანონპროექტი, რომელიც პირის მიერ რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვას, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აფასებს და მისი ჩადენისთვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მივიჩნევთ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება არ შეესაბამება ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს და არსებითად აზიანებს გამოხატვის თავისუფლებასა და პლურალური, ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესს ქვეყანაში.**

**სამწუხაროდ, აღნიშნული ცვლილების განხილვის დროს ასევე დაირღვა პროცედურული მოთხოვნები, რადგან ინიცირებული ნორმა არ წარმოადგენდა თავდაპირველად ინიცირებული კანონპროექტის ნაწილს და მისი დამატება დოკუმენტში მხოლოდ მეორე მოსმენისას მოხდა, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარლამენტის რეგლამენტთან და ამცირებს საკანონმდებლო პროცესში ჩართულობისა და საჯაროობის შესაძლებლობას.**

**მიგვაჩნია, რომ განსახილველი საკანონმდებლო ჩანაწერი გამოხატვის თავისუფლებაზე თვითნებურ და გაუმართლებელ შინაარსობრივ შეზღუდვას დააწესებს და საფრთხეს შეუქმნის თავისუფალ საჯარო დებატებს საზოგადოებაში. სეკულარიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს სეკულარობის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ძალაუფლებებისა და რელიგიის თემაზე საჯარო დებატებსა და საზოგადოებრივი პროცესების რაციონალიზაციას მოითხოვს, ამგვარი შეზღუდვის დაწესება განსაკუთრებით მიუღებელია.**



**ხელმომწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, არ დაამტკიცოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი და ზოგადად უზრუნველყოს საკანონმდებლო ორგანოში საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მგრძნობელობის მქონე საკითხების განხილვის პროცესის საჯაროობა და ინკლუზიურობა“.**

განცხადებას ხელს აწერენ შემდეგი ორგანიზაციები: „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“; „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“;„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“; „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“; „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“; „ტაბულა“; „სამოქალაქო განათლების ფონდი“; „მედიის განვითარების ფონდი“; „კავშირი საფარი“; „თავისუფლების ინსტიტუტი“; „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“; ჟურნალი „ლიბერალი“ და ინტერნეტ გამოცემა „თსპრეს.გე“.

*„ინტერპრესნიუსი“*



## პატრიარქი მოსახლეობას გამწვანების აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებს

როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში გამწვანების ფონდის პრეზენტაციისას განაცხადა, გამწვანების ფონდში საპატრიარქომ 50 000 დოლარი შეიტანა.

**„ყველაზე მნიშვნელოვანი არის გარემოს, ჰაერის, წყლის სისუფთავე. ვფიქრობ, დადგა დრო, როცა პრაქტიკულად უნდა ვიმოქმედოთ და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენ ქვეყანაში, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა გამწვანებაში. ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ თითქმის არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, რომელიც ამით არ ინტერესდება. ჩვენი ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს გეგმა განხორციელდეს. იმედს გამოვთქვამ, რომ მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას ამ დიდ საქმეში. საპატრიარქოს აქვს სურვილი, გამწვანების აქციაში შეიტანოს თავისი წვლილი და ჩვენ შეგვაქვს 50 000 დოლარი. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვთქვა დიპლომატიური კორპუსისადმი. იმედია, საელჩოებიც გაგვიწევენ დახმარებას ამ დიდ საქმეში“,** — აღნიშნა ილია მეორემ.

*„პირველი“*



## გიგი უგულავა ცენტრალურ მთავრობასთან ითანამშრომლებს

თბილისის მერი გიგი უგულავა მზადყოფნას გამოთქვამს, თბილისელების ინტერესების სასარგებლოდ, ცენტრალურ მთავრობასთან ითანამშრომლოს.

გიგი უგულავას მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:

„ერთი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით ცენტრალური მთავრობის მხრიდან თბილისისა და თბილისელების უგულებელყოფას და პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მხოლოდ თბილისის დასჯას ემსახურებოდა. ცენტრალურმა მთავრობამ გააჩერა, პრაქტიკულად, დასრულებული შემოვლითი რკინიგზა, ახალი ხიდის მშენებლობა და უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც აუცილებელია თბილისის განვითარებისთვის; ასევე შეუმცირა თბილისს ბიუჯეტი, რითაც საფრთხის წინაშე დააყენა თბილისის ტრანსპორტის, საბავშვო ბაღების, დასუფთავებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების ეფექტური მუშაობა. საფრთხის წინაშე დადგა ასევე თბილისის საერთაშორისო ვალდებულება, ღირსეულად ჩაატაროს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი არსებითად, წინამორბედის საქმის გამგრძელებელია, ვიმედოვნებ, ცენტრალური მთავრობის ზემოაღნიშნული მავნე პრაქტიკა გადაიხედება.

მე, როგორც თბილისის მერი, მზად ვარ თბილისელების ინტერესების სასარგებლოდ, ცენტრალურ მთავრობასთან ვითანამშრომლო, რათა დავძლიოთ თბილისში ეკონომიკური კრიზისი და უფრო მეტად განვავითაროთ საბავშვო ბაღების, ტრანსპორტის, დასუფთავების, თბილისის კეთილმოწყობისა და ურბანული განვითარების სერვისები“.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ექიმთა ნაწილი მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვის დაკანონებას აპროტესტებს




დავით დევიძე
593-219-042

**ორ თვეში, 2014 წლის პირველი იანვრიდან, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, აფთიაქებში გარკვეული მედიკამენტების ურეცეპტოდ შეძენა შეუძლებელი იქნება, ურეცეპტოდ გაცემულ თითოეულ წამალზე კი აფთიაქს ათასლარიანი ჯარიმა დაეკისრება. ჯანდაცვის მესვეურთა თქმით, ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, მედიკამენტების ბაზარზე არსებული ვითარება მნიშვნელოვნად მოწესრიგდება, „მოწესრიგებაში“ კი, როგორც მინისტრი დავით სერგეენკო განმარტავს, პირველ რიგში, თვითმკურნალობის თავიდან აცილება იგულისხმება. თვითმკურნალობის წინააღმდეგ ბრძოლა მისასალმებელია, მაგრამ სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ზემოხსენებული ინიციატივა უამრავი პრობლემის საფუძველი გახდება. ექიმი გიორგი აბუაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ასეთი სიახლისთვის ჩვენი სახელმწიფო მზად არ არის.**

— ცხადია, წამლების რეცეპტით გაცემა სწორი მეთოდია და თავის დროზე, იმიტომ მოიგონეს, თვითმკურნალობის საფრთხე აეცილებინათ, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქმე ნაადრევად მიღებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს, რადგან არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ამ ჩანაფიქრის გამართულად მუშაობას შეუწყობს ხელს, თანაც ეს ყველაფერი მოსახლეობაზე მძიმედ აისახება.

**— მართალია, რეცეპტის ასაღებად ექიმთან ვიზიტი გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ ეს ე.წ. საყოველთაო დაზღვევაშია გაწერილი და პაციენტის ჯიბეს არ დააწვება.**

— კარგია, თუ ასე მოხდება, მაგრამ პრობლემას ამ შემთხვევაშიც ვერ გავექცევით. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ჯანდაცვაში მისასალმებელი პროექტები განახორციელა, გადასაჭრელი საკითხები მაინც არსებობს, რომლებიც ამ სიახლეებმა წარმოშვა.

**— რას გულისხმობთ?**

— თუნდაც პოლიკლინიკებში გაუთავებელ რიგებს... ადამიანს სისხლის ანალიზის გაკეთება რომ უნდა, ვიდრე ექიმთან შევა, ანალიზისთვის საჭირო თანხა სალაროში უნდა გადაიხადოს; პროთრომბინის ანალიზის ფასი რვიდან ათ ლარამდე მერყეობს და ამ თანხის გასახდელად სალაროსთან დგომა საათობით უწევს... უფასო დაზღვევა კი ამ პროცესს უფრო გაართულებს. თავიდან უნდოდათ, სალაროების რაოდენობა გაეზარდათ, მაგრამ ეს ხარჯებს გაზრდიდა; მერე იფიქრეს, პროცედურების დაჩქარების მიზნით, ექიმებისთვის სალარო აპარატები დაერიგებინათ, მაგრამ ამას კონტროლის მექანიზმები სჭირდებოდა და აქაც ხარჯების აუცილებლობა გაჩნდა... მოკლედ, პრობლემა ვერ მოაგვარეს და ამ გაუთავებელ რიგებს ახალი წლიდან პაციენტების უზარმაზარი ნაკადი დაემატება, რაც პოლიკლინიკების მუშაობას უფრო შეაფერხებს, მით უმეტეს, რომ რეცეპტით გასაყიდ მედიკამენტთა ჩამონათვალში ყველაზე მოთხოვნადი წამლები შედის, მათ შორის, წნევის დასარეგულირებელი პრეპარატები. 40 წელს გადაცილებული მოქალაქეების უმრავლესობას წნევა აწუხებს, დიდი მოთხოვნაა გულსისხლძარღვთა პრეპარატებზეც, აღარაფერს ვამბობ ანტიბიოტიკებზე.

**— ამბობენ, რომ ეს წამლების სრული ჩამონათვალი არაა...**

— დიახ, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ისე, მაინტერესებს, როცა მაგალითად, გულის პრეპარატებზეა საუბარი, ურეცეპტოდ მათი რა ნაწილის გაყიდვა იკრძალება? თუკი ეს ყველა პრეპარატს ეხება, მაშინ უფრო მძიმდება მდგომარეობა — გულის პრეპარატად მიიჩნევა ნიტროგლიცერინიც, რომელიც სტენოკარდიითა თუ გულის სხვა პათოლოგიებით დაავადებულ ადამიანს ჯიბეში მუდმივად უდევს. წარმოიდგინეთ, პაციენტს ნიტროგლიცერინი ქუჩაში გაუთავდა, რა უნდა ქნას — უახლოეს აფთიაქს მიაშუროს თუ პოლიკლინიკას? ნიტროგლიცერინის დანიშნულებაა, მყისიერად მოუხსნას ტკივილი და, წარმოგიდგენიათ, რა დრო გავა, ვიდრე ავადმყოფი პოლიკლინიკაში მივა, რიგში ჩადგება და მერე ექიმამდე მიაღწევს, რათა მან რეცეპტი გამოუწეროს და 80-თეთრიანი წამალი იყიდოს? კურიოზულ ვითარებას ვიღებთ... ამიტომ, იმედი მაქვს, მსგავს პრეპარატებზე რეცეპტი არ იქნება აუცილებელი.

**— ფიქრობთ, საქმე ნაადრევ გადაწყვეტილებასთან გვაქვს?**

— უდავოდ... ვიმეორებ: დღეს სერიოზული პრობლემა ექიმთან ვიზიტია და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ვაჭარბებ, მიბრძანდეს და ნახოს, რაც ხდება პოლიკლინიკებში... სამინისტროში რამდენიც უნდა იძახონ, რომ ექიმთან ვიზიტი დაზღვევის პროგრამაში შედის, ეს ცოტა საეჭვოა. არსებობს დაავადებათა ნუსხა, რაზეც დაზღვევა არ ვრცელდება. ამიტომ ვფიქრობ, რეცეპტებთან დაკავშირებული აურზაური ექიმთა გაკონტროლებასა და პოლიკლინიკებისთვის გადასახადების გაზრდას უკავშირდება, თორემ საქმეს უფრო წაადგებოდა, ჯერ შესაბამისი ბაზა მოეწესრიგებინათ და სიახლე მერე შემოეტანათ.

### ვერსიანიუსი

## მალიში ორი ფრანგი ჟურნალისტი მოკლეს



მალის ჩრდილოეთით გატაცებული ორი ფრანგი ჟურნალისტი მოკლეს, — ეს ინფორმაცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა. კლოდ ვერლონი და გისლენ დიუპონი მალის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კიდალში გაიტაცეს.

პროვინცია კიდალის გუბერნატორის, პოლკოვნიკ ადამ კამისოკოს განცხადებით, ჟურნალისტები ოთხმა შეიარაღებულმა მამაკაცმა გაიტაცა. ორივე ჟურნალისტი რადიო France Internationale-ში მუშაობდა და ისინი მალის დედაქალაქ ბამაკოდან კიდალში სამშაბათს ჩავიდნენ, გატაცებამდე კი ამბოხებული ტუარეგების წარმომადგენლისგან იღებდნენ ინტერვიუს.მალიში, მიმდინარე წლის ივლისში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, ვითარება არასტაბილურია და ამბოხებულები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში პერიოდულად თავდასხმებს აწყობენ.

*„ჯი-ეჩ-ენი“*

1. მეორე მუსიკალური ინტერვალი
2. ოპერა „დაისის“ ავტორი
3. ჭკუა-სუსტობის უმაღლესი ხარისხი
4. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი
5. მთაგრეხილი კასპიის და შავ ზღვებს შორის
6. პატარა მგალობელი ჩიტი
7. გეოდეზიური კუთხსაზომი ხელსაწყოების დეტალი
8. მეტყველების ნაწილი
9. სიგრძე გაშლილ ნეკსა და ცერს შორის
10. დაუშლელი გამოთქმა ამა თუ იმ ენაში
11. იგივეა, რაც პერანგი
12. ავტომატური ელექტროხელსაწყო
13. თბილისის არაბი მმართველი
14. იტალიელი ზღვაოსანი
15. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
16. გაზაფხულის ყვავილი
17. ყველაფრის სარგო წამალი
18. ჯულია რობერტსის კინოროლი „ოუშენის 12 მეგობარში“
19. დღის სიმძლავრის ერთეული
20. იგივეა, რაც კავი
21. ავტორი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“
22. სახოტბო შეძახილი ქრისტიანულ ღვთისმსახურ.
23. სურამის ციხეში ჩაყოლებული ყმაწვილი
24. დეკორატიული მცენარე
25. ფუტკრის სახლი
26. „ბოდიში“ - ფრანგულად
27. მცირე ჩრდილი (საბა)
28. ბულგარელი ნათელმხილველი
29. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება
30. „დ“ ვიტამინის ნაკლებობით გამოწვეული დაავადება
31. შალეულის „მოყვარული“ ფრთოსანი მწერი
32. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
33. ფოსო თვალის ქვეშ
34. ჭექა-ქუხილის ღმერთი ვედიზმში
35. შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორ. მოთხოვნით
36. ნაოსნობის სახელმძღვანელო
37. ეტლი, რომელშიც ადამიანია შებმული
38. ბოლქვიანი ბოსტნეული
39. სოფელი ბაღდათის რაიონში
40. სპილბერგის უცხოპლანეტელი
41. ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობაში
42. სოსოიას რუსის სახელი
43. ლეგენდარული მარათონელი ... ბიკილა
44. იაპონელი პოეტი
45. ფრანგი მწერალი
46. მხარზე გადასაკიდი ჩანთა
47. ავრორას ბერძენი „კოლეგა“
48. მღვდელმთავართა თავსარქმელი
49. ქალის ხელჩანთა
50. სვეტებიანი გალერეა
51. მთის ნიმფა
52. ტოკიოს ძველი სახელწოდება
53. მუსიკალ. გამის V ნოტი
54. დღეღამური პერიოდულობის ქარი ზღვაზე
55. ღორის ცხვირი
56. უბედურების საერთაშ. სიგნალი
57. კანფეტი ბავშვის ენაზე
58. ღრმა და შეუ-ხორცებელი ჭრილობა
59. ამერიკ. მიუზიკლი მადონას მონაწილეობით
60. სამკურნალო მცენარე
61. წინაპრებისგან დამკვიდრებული წეს-ჩვეულება
62. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
63. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
64. წიწვოვანი ტყის ზოლი ციმბირში
65. სამკურნალო ტროპიკული მცენარე
66. კაზინოს ქართული სახელწოდება
67. ალ. დიუმას „დედოფალი ...“
68. ესპანელი ფერმწერი ...-გრეკო
69. პაკისტანის სახელმწიფო ენა
70. ყურძნის მცენარე
71. პირისახის ძვალი
72. ქართ. ჟურნალი
73. სამეურ. მუშაკი
74. მათემატ. მუდმივა
75. ქვეყანა აზიაში
76. ნული ქულა კაზინოში
77. ქალაქი საბერძნეთში
78. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
79. წვრილი მძივის მარცვლები
80. ბასკეთის დედაქალაქი
81. სატელეფონო „სიტყვა“
82. აეროსტატის ტვირთი
83. უნგრული ღვინო, ტოკაის ნაირსახეობა
84. აკრობატ. ნახტომი „სალტო-...“
85. ლექსის ელემენტი
86. თხრობ. ლიტერატურა
87. ფეხბურთის მეფე





# მუსიკას სიკვდილის შემდეგაც „მოუსმენთ“

შვედური კომპანია Pause მელომანებს მდიდრულ კუბოს CataCoffin სთავაზობს, სრული მუსიკალური აღჭურვილობით. მუსიკალური სარკოფაგი მიწისქვეშეთიდან საფლავის ქვას უერთდება, რომელიც ერთგვარ აუდიოსერვერად გამოიყენება და სადაც ინახება ფაილები. საფლავის ქვა ქსელით Spotify-ს უკავშირდება, რომელიც ავტომატურად აახლებს კომპოზიციებს იმისდა მიხედვით, რა მიმართულების მუსიკას ანიჭებდა მიცვალებული უპირატესობას. ეპიტაფიასთან კი განთავსებულია 7-დიუმიანი თხევადკრისტალური მონიტორი, რომელიც გამვლელებს უჩვენებს, იმ მომენტისთვის რა მელოდიით „ტკბება“ მიწის ქვეშ მყოფი მელომანი.

#  ჰოროსკოპი
## 4 ნოემბერი

**ვერძი** — წამოწყებული საქმე პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი და გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა.

**კურო** — ილუზიებით ცხოვრება უნდა დაასრულოთ და რეალობას თვალი გაუსწოროთ. კარიერული წინსვლა გარკვეულ რისკს მოითხოვს, თუმცა ჯერჯერობით, რადიკალური ცვლილებისგან თავი შეიკავეთ.

**ტყუპები** — მოულოდნელი შეხვედრა ძველ ნაცნობთან თქვენს გეგმებს თავდაყირა დააყენებს. მოგიწევთ დაფიქრება, რა უფრო მნიშვნელოვანია — კარიერა თუ პირადი ბედნიერება.

**კირჩხიბი** — ნაკლებად იფიქრეთ პრობლემებზე და ეცადეთ განიტვირთოთ. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა ადვილი არ არის, ამიტომ უმჯობესია, ახლობლების რჩევები გაითვალისწინოთ და ისე იმოქმედოთ.

**ლომი** — წარმატებული დღეა — არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად გააანალიზეთ თქვენი მდგომარეობა და ისე იმოქმედეთ, როგორც ინტუიცია გიკარნახებთ.

**ქალწული** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გაქვთ, იდეების დეფიციტს განიცდით, არადა დროა, ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ.

**სასწორი** — კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან არსებულ ვითარებაში რთული იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა.

**ღრიანკალი** — დღეს კარგი განწყობა საქმეშიც შეგეტყობათ და პირად ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესის წარმოებისა და ფინანსური ოპერაციებისთვის, თუმცა ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

**მშვილდოსანი** — წარუმატებლობის პერიოდი სრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურეობრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

**თხის რქა** — დღეს გეჩვენებათ, რომ გარემოებათა მსხვერპლი ხართ და ყველა უსიამოვნება, რაც თქვენს ირგვლივაა, არ დაგიმსახურებიათ. ვარსკვლავები გირჩევენ, პრობლემების მოსაგვარებლად უკეთესი დრო შეარჩიოთ.

**მერწყული** — აქცენტი ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ და ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. შესაძლოა შეხვდეთ დიდი ხნის უნახავ ადამიანს, რომლისგანაც საქმიან წინადადებას მიიღებთ.

**თევზები** — ნებისყოფისა და თავდაუზოგავი შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც დღე გპირდებათ, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატაროთ.

# ქურდებს ხალიჩებით შეებრძოლებიან



ტექნოლოგიური სიახლეების ესპანურმა კომპანიამ რეზინისძირიანი პატარა ხალიჩები გამოუშვა, რომელსაც შესასვლელ კართან აგებენ. ერთი შეხედვით, ეს პროდუქცია ჩვეულებრივი ხალიჩისგან არაფრით განსხვავდება, თუმცა მასში ჩამონტაჟებულია გელოკაციური ჩიპები, რომელიც საცხოვრებელში არსებულ საგნებს უთვალთვალებს. როგორც კი რომელიმე ნივთი „არასანქცირებულად დატოვებს ბინას", პატრონს სიგნალი მიეწოდება. ეს სისტემა ჯერ კიდევ 2010 წელს შევიმუშავეთ მაღაზიებისთვის, რომელთა კლიენტებსაც აღიზიანებდა ტრადიციული კარი და სწორედ მისი მეშვეობით აკონტროლებდნენ, გადახდილი იყო თუ არა მაღაზიიდან გატანილი ნივთების საფასური. სიახლე მალე ძალიან პოპულარული გახდა და ახლა უკვე ჰოლანდიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან ვიღებთ შეკვეთებს, — ამბობს ერთ-ერთი მწარმოებელი.

# სიმსუქნეს ბაქტერია იწვევს?

ჩინელმა მეცნიერებმა შანხაის უნივერსიტეტიდან დაასკვნეს, რომ სიმსუქნის მიზეზი, შესაძლოა, ბაქტერიული ინფექცია იყოს. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მღრღნელებს მსუყე საკვებს აჭმევდნენ და მოძრაობის საშუალებას ნაკლებად აძლევდნენ. ჭარბი წონა მხოლოდ იმ თაგვებმა დააგროვეს, რომლებიც ენტერობაქტერიით იყვნენ „დაინფიცირებულნი". ეს ბაქტერია ნივთიერებათა ცვლას არღვევს და ამგვარად ორგანიზმში ცხიმები გროვდება. კვლევების ხელმძღვანელი კი ამტკიცებს, რომ უკვე განკურნა ჭარბწონიანი პაციენტები, რომლებმაც 23 კვირის განმავლობაში სხეულის მასის 29% დაკარგეს.






# სიგარეტი ალმასებით — საყვარელი ქალისთვის

ერთ-ერთი რუსი ოლიგარქის მეგობარმა ქალმა დაბადების დღეზე საჩუქრად უძვირფასესი ნივთი — პატიოსანი თვლებით დამშვენებული ელექტრონული სიგარეტი მიიღო. ამ უჩვეულო „ფრეზენთს" 246 ალმასი ამშვენებს და მისი ღირებულება 550 ათასი გირვანქა სტერლინგია (880 ათასი აშშ დოლარი). გარდა ალმასებისა (ყოველი მათგანი ორკარატიანია), იტალიური, მურანოს შუშისგან დამზადებული სიგარეტი სვაროსვკის 46 ყვითელი თვალითაა მორთული, ნაქილები კი 24-კარატიანი ოქროსგანაა დამზადებული. სიგარეტის დასამზადებლად ბრიტანულ კომპანიას Shisha Sticks თითქმის 5 თვე დასჭირდა, დამკვეთი ოლიგარქი კი ანონიმად რჩება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქონება მან ნავთობის ბიზნესით დააგროვა და ლონდონში ცხოვრობს, თუმცა როგორც ბრიტანული პრესა წერს, მისი ვინაობა, შესაძლოა, მეგობარი ქალის მეშვეობით გაირკვეს, რადგან ალმასის სიგარეტს Shisha Sticks Sofia ჰქვია და არ არის გამორიცხული, უკანასკნელი სიტყვა სწორედ რუსი ოლიგარქის საყვარელი ქალის სახელი იყოს.

# ყველაზე ნოტიო ადგილი მსოფლიოში



ინდოეთში, ერთ-ერთი შტატის სოფელ მავსინრამში, წელიწადში თითქმის ყოველდღე წვიმს და ადგილობრივებს მზე თვეების განმავლობაში ენატრებათ. გადაუღებელი წვიმის გამო, ქუჩაში ყოველთვის ნიაღვარია, წყალი სახლებშიც შედის და ამიტომ აქ შინაური პირუტყვისა და ფრინველისთვის სპეციალური თავშესაფრები აქვთ მოწყობილი. ინდოეთის ეს სოფელი მსოფლიოში ყველაზე ნოტიო ადგილადაა აღიარებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში დეკემბრიდან თებერვლამდე მშრალი სეზონია და ასეთ დროს ადგილობრივების ყველაზე დიდი პრობლემა უწყლობაა. მავსინრამში მაქსიმალური ტემპერატურა მხოლოდ 20 გრადუსს აღწევს.

#  ჰოროსკოპი
## 5 ნოემბერი

**ვერძი** — ახლობლების ან მეგობრების წრეში ყოფნა და ბუნებაში გასვლა დაგეხმარებათ, დამღლელი სამუშაო დღეების შემდეგ, ახალი ენერგიით დაიმუხტოთ.

**კურო** — მოვლენები საკმაოდ გეგმაზომიერად ვითარდება და თქვენგან აქტიური ჩარევა საჭირო არ არის. მიენდეთ ბედსა და ინტუიციას — წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

**ტყუპები** — დღის ბოლოს სიურპრიზი გელით — მოემზადეთ მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, თუმცა პირველივე წინადადებას ნუ დათანხმდებით — ჯერ კარგად გააანალიზეთ სამომავლო ნაბიჯი.

**კირჩხიბი** — მეგობრებმა რომც გთხოვონ, სჯობს, თავი აარიდოთ ხალხმრავლობასა და ხმაურიან წვეულებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, უსიამოვნებაში გაეხვიოთ.

**ლომი** — თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ დასახული მიზნის მისაღწევად. ენდეთ ინტუიციას და ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ საქმიანი პარტნიორები თქვენი იდეის მართებულობაში დაარწმუნოთ.

**ქალწული** — მოვლენები თქვენთვის მოულოდნელად განვითარდება და ვერაფრის შეცვლას შეძლებთ. აჯობებს წარსულზე ფიქრს შეეშვათ და სამომავლო გეგმები დასახოთ, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას.

**სასწორი** — დღეს მოკავშირეებად გაიხდით მათ, ვინც აქამდე მოწინააღმდეგე გეგონათ. ენერგია არ დაზოგოთ დასახული მიზნის მისაღწევად, საღამო კი მეგობრების წრეში გაატარეთ.

**ღრიანკალი** — საეჭვო ღონისძიებაში მონაწილეობას შემოგთავაზებენ, რაც შესაძლოა, დიდი თანხის დაკარგვით დასრულდეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მდგომარეობიდან მოგებული გამოხვიდეთ, თუ სწორად გააანალიზებთ ყველაფერს.

**მშვილდოსანი** — ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზანი გაქვთ დასახული და სწორედ ეს გაბრკოლებთ. რჩევისთვის კომპეტენტურ ადამიანს მიმართეთ და არჩევანიც ისე გააკეთეთ.

**თხის რქა** — დღეს თქვენი მოთმინების, გამძლეობისა და ვითარების სწორად შეფასების უნარის წყალობით, შეძლებთ პრობლემების მოგვარებასა და უსიამოვნო შედეგების თავიდან აცილებას.

**მერწყული** — ნებისმიერი გადაწყვეტილება აუჩქარებლად მიიღეთ და ეცადეთ, მაქსიმალურად აარიდოთ თავი კონფლიქტს ახლობლებთან.

**თევზები** — შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ადვილად იპოვით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი რეპუტაცია სასწორზე უნდა შეაგდოთ, ყოველი ნაბიჯი აწონ-დაწონეთ და ნაკლებად გარისკეთ.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 8 | | | 5 |
| | | | 7 | 5 | | | 1 | |
| | | | | | | 9 | 4 | 2 |
| | 1 | | | | | 8 | | |
| | | 2 | 5 | | 7 | 1 | | |
| | | 6 | | | | | 9 | |
| 7 | 3 | 5 | | | | | | |
| | 2 | | | 8 | 5 | | | |
| 4 | | | 3 | | 2 | | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | | | 6 | | | | |
| | 2 | | | | | | | 6 |
| 7 | | 3 | 2 | 9 | | | | |
| 2 | | | 9 | | 6 | | 8 | |
| | | 5 | | 4 | | 1 | | |
| | 9 | | 1 | | 5 | | | 4 |
| | | | | 5 | 7 | 4 | | 9 |
| 4 | | | | | | | 5 | |
| | | | | 8 | | | 6 | 3 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 2 | | 8 | 7 | 5 |
| | 7 | | | | | | 3 | |
| | | 3 | | | | 4 | | 9 |
| | | | | 4 | 5 | 3 | | |
| | 2 | | | 7 | | | 6 | |
| | | 5 | 8 | 6 | | | | |
| 3 | | 2 | | | | 1 | | |
| | 8 | | | | | | 2 | |
| 7 | 1 | 4 | | 3 | | 9 | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 9 | 7 | | |
| | 1 | | | 7 | 5 | | | 6 |
| 8 | | 6 | | | | | 3 | |
| | | | 1 | | | | | |
| 9 | 8 | | | | | | 5 | 2 |
| | | | | | 3 | | | |
| | 6 | | | | | 9 | | 7 |
| 7 | | | 5 | 4 | | | 1 | |
| | | 2 | 9 | | | | 6 | |

## რესტორანი კლიენტებს მილიონ დოლარს უბრუნებს



სასტუმროებისა და რესტორნების მსხვილი იაპონური ქსელი Hankyu Hanshin Hotels Company Ltd კლიენტებს დაახლოებით 110 მილიონ იენს (ერთი მილიონი დოლარი) დაუბრუნებს კომპენსაციის სახით, იმის გამო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მენიუში არასწორად უთითებდა ინგრედიენტებს. დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში ქსელის 23 რესტორანსა და სასტუმროში ფალსიფიცირებული იყო 47 კერძის ინგრედიენტთა დასახელება: ეწერა, რომ თევზის კერძები ახალი პროდუქტით იყო მომზადებული, სინამდვილეში კი, გაყინულ ნედლეულს იყენებდნენ. რესტორანში ნახევარფაბრიკატებიც უხვად იყო წარმოდგენილი, არადა ირწმუნებოდნენ, რომ კერძებს რესტორანში ამზადებდნენ; წვენებიც კონცენტრატებისგან მზადდებოდა... ამიტომ კომპანია მზადაა, 79 ათას კლიენტს კომპენსაცია გადაუხადოს.

## რაზე მეტყველებს თმის ფერი





ადამიანის თმა დიდი ენერგიის გამტარი და მატარებელია, ზოგიერთი მოსაზრებით, თავსაბურავი სწორედ ამ ენერგიის დასაცავად გამოიყენებოდა. ბიოენერგეტიკოსთა აზრით, თმა არა მარტო ენერგიას, არამედ სტრესს „ინახავს" და ამიტომ ისინი გაბრაზების შემდგომ თმაზე გარკვეული სარელაქსაციო პროცედურების ჩატარებას გვირჩევენ. თმის ფერის ცვლილება კი ცვლის ენერგიასაც და გარშემომყოფების დამოკიდებულებასაც, ამიტომ გარეგნობაში ამ ცვლილების შეტანამდე ზოგიერთი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო.

ოქროსფერი თმა ყოველთვის მიიჩნეოდა პრინცესების მთავარ ატრიბუტად. ქერათმიანები შეიძლება მშვიდები ან კაპრიზულები, კეთილები ან ბოროტები იყვნენ, მაგრამ ერთი საერთო თვისება აქვთ — ზედმეტად შეუპოვარნი არიან. თმის წითელი ფერი მფლობელის დემონურ ტემპერამენტსა და ფეთქებად ხასიათზე მიანიშნებს. წითური თმა უძველესი დროიდან ჯადოქრებისა და ალების დამახასიათებელი ნიშანი იყო. თანამედროვე დროში კი, წითურები მომხიბვლელ ადამიანებად მიიჩნევიან.

შავი თმა მფლობელს მკაცრ შესახედაობას ანიჭებს, ყავისფერი თმა კი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს აქვთ. ისინი კარგად ერკვევიან ფსიქოლოგიაში და ადვილად მოიპოვებენ ავტორიტეტს გარშემომყოფებში. მუქი ქერა თმა ინტელექტუალებს აქვთ.



## წითელი ბოსტნეული მკერდის კიბოს წინააღმდეგ

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საკვებში წითელი ფერის ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებამ, შესაძლოა, მკერდის კიბოს განვითარების რისკი შეამციროს. სწავლულებმა ამ დაავადების მქონე, დაახლოებით, სამი ათასამდე პაციენტის ისტორია და საკონტროლო ჯგუფის 3,9 ათასი მონაწილის მონაცემები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ იმ მანდილოსნებს, ვინც საკვებში უფრო მეტი წითელი ფერის ხილ-ბოსტნეულს მოიხმარდა, მკერდის კიბოს განვითარების ნაკლები შანსი ჰქონდა. კაროტინოიდები, რის გამოც ამა თუ იმ ხილსა და ბოსტნეულს ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი შეფერილობა აქვს, უკვე ცნობილია თავისი ანტისიმსივნური თვისებებით. ეს ნივთიერება კი, ყველაზე მეტი, სწორედ წითელი ფერის პროდუქტშია.



## მწერების ჭამა პარიზელებმაც დაიწყეს

ცოტა ხნის წინ საფრანგეთის დედაქალაქში პირველი რესტორანი გაიხსნა, რომლის მენიუშიც უხვადაა წარმოდგენილი მწერები. ბარ-რესტორნის მფლობელი, 26 წლის შეფმზარეული ელი დავირონი აცხადებს, რომ მწერების ჭამა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, რადგან ცილასა და ცხიმმჟავა ომეგა-3-ს უხვად შეიცავს და გარდა ამისა, ეს ეგზოტიკაა, რაც ასე ხიბლავს ადგილობრივებს. კერძებისთვის დამარილებული მწერები ტაილანდიდან ჩამოაქვთ და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი მწერის ჭამის წარმოდგენაზეც კი შეიძლება ცუდად გახდეს, რესტორნის მფლობელის თქმით, ცნობისმოყვარეობა მაინც თავისას შვრება და სკეპტიკოსებიც კი მიდიან ბარში ეგზოტიკური კერძების დასაგემოვნებლად.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 7 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 6 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 8 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 | 4 |
| 3 | 5 | 1 | 6 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 2 | 5 | 7 | 3 | 1 | 4 | 6 | 8 |
| 1 | 8 | 4 | 5 | 6 | 9 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 |
| 1 | 3 | 2 | 7 | 9 | 6 | 8 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 1 |
| 8 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 7 | 8 | 1 | 5 | 3 | 9 | 4 | 2 | 6 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 1 | 8 | 5 | 3 | 7 |
| 3 | 2 | 5 | 4 | 6 | 7 | 1 | 8 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 5 | 4 | 3 |
| 1 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 | 6 |
| 9 | 3 | 6 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 8 | 7 | 1 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 9 | 2 | 5 |
| 6 | 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 8 | 7 | 4 |
| 5 | 8 | 9 | 7 | 2 | 4 | 3 | 6 | 1 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 5 | 6 | 9 | 1 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 |
| 3 | 9 | 6 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 2 | 4 | 6 | 9 |
| 2 | 7 | 4 | 6 | 5 | 9 | 3 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 | 6 |
| 6 | 2 | 1 | 3 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 |

მე-9 გვერდი: 1. პლანშე; 2. ლავა; 3. ნუნისი; 4. ლატვია; 5. აბრაგი; 6. ვაისმიულერი; 7. ავანგი; 8. ასანიძე; 9. იორამი; 10. ბრაილი; 11. ანემია; 12. „იარისი"; 13. კატანა; 14. ასია; 15. ანიმე; 16. აგამია; 17. ამირა; 18. კასიო; 19. გავროში; 20. კომლი; 21. ინია; 22. იალტა; 23. აბრა; 24. არუე; 25. ტონგა; 26. ლევენჰუკი; 27. რევიუ; 28. კიარა; 29. სეიფი; 30. მამაი; 31. გვარნერი; 32. ფო; 33. ნაძვი; 34. რე; 35. რაი; 36. უმი; 37. ტიბალდი; 38. აგრა; 39. არია; 40. ანგლეზი; 41. კრიშნა; 42. ორმო; 43. ონტარიო; 44. რონა; 45. ლარვა; 46. რიელი; 47. ვანი; 48. გოა; 49. აკოლადა; 50. ალაჰი; 51. ზანა; 52. კანკელი; 53. იაკი; 54. კოშკი; 55. კუბრიკი; 56. როდეო; 57. დანა; 58. გორგონა; 59. იკაო; 60. უმანკო; 61. ლი; 62. ნეკნი; 63. ტრაპი; 64. მელისა; 65. ზოლა; 66. აზოვი; 67. ავა; 68. ზმა; 69. რკო; 70. ოლდ; 71. „იზა"; 72. ისაევი; 73. შიიტი; 74. ალტი; 75. შალი; 76. ავიზო; 77. ავარა; 78. კაკაპო; 79. ტერ; 80. პოლტავა; 81. ბატი; 82. ანატოლია; 83. ვო; 84. ტრეკი; 85. „არმინია"; 86. ატი; 87. ორბი.

მე-12 გვერდი: 1. განგური; 2. გენაცვალე; 3. ნიკარაგუა; 4. უჯრა; 5. ექსპორტი; 6. ქსერქსე; 7. პატიაშვილი; 8. როვნო; 9. სნიკერსი; 10. ეგეოსი; 11. ირი; 12. მზევინარი; 13. კენტავრი; 14. ტარაკანი; 15. გეენა; 16. ნაიკი; 17. ცერი; 18. ორე; 19. ფიცი; 20. ოქტაგონი; 21. საშე; 22. „რევიზორი"; 23. იმიჯი; 24. ავგაროზი; 25. პერიგეა; 26. სერვერი; 27. ლოუ; 28. ჯობსი; 29. ასლი; 30. სამურაი; 31. ანკლავი; 32. ნკონო; 33. კენია; 34. ევრო; 35. ბოი; 36. ლორკა; 37. აგავა; 38. მესა; 39. ჯონკა; 40. ულმი; 41. აის; 42. კაი; 43. ალდე; 44. გიზა; 45. ესკობარი; 46. ოკა; 47. ანა; 48. კორპი; 49. მული; 50. თარა; 51. ნორა; 52. საბო; 53. სორო; 54. ნიელო;'55. ვარდი; 56. აფერუმ; 57. მინსკი; 58. კიი; 59. ალთაი; 60. ლიე; 61. აიაზმა; 62. ემი; 63. მი; 64. კანა; 65. იელი.



1. გეომეტრიის ნაწილი
2. „ზღვის ვეფხვად“ წოდებული თევზი
3. შოტლანდიური ვისკი
4. ქვეყნის მეურნეობა
5. მოძრაობა რელიგიათა გაერთიანებისათვის
6. გიორგი სააკაძის თანამდებობა
7. ნაღვლის წითელი პიგმენტი
8. ტყვიის ასხლეტა ზედაპირიდან
9. პატარა სასეირნო გემი
10. კარგი ამინდი
11. ჰავაის დედაქალაქი
12. მსახიობის მიერ განსახიერ. სახე
13. წყლის გრაციოზული ფრინველი
14. აზრის იგავურად გამოხატვა
15. სხეულის ადგილმდ. განმსაზღვ. აპარატი
16. განცხადება სპექტაკლის შესახებ
17. ტბა ალასკაზე
18. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
19. სამხ. შარვლის ფორმა
20. ქალაქი ყაზახეთში
21. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
22. ფრანგი კომიკოსი
23. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
24. ყოფილი გერმანელი ფეხბურთელი
25. ფასიანი ქაღალდის ემისიის ნაწილი
26. ნესვის ხე
27. იგივეა, რაც კრაზანა
28. პრესტიჟული მუსიკალ. ჯილდო
29. შინაური ფეხაპკიანი ფრინველი
30. მაუგლის მეგობარი პითონი
31. ყველაზე მსხვილი არტერია
32. იაპონიის უდიდესი ტბა
33. საჭმელი სოკოს სახეობა
34. „სამკითხაო“ ყვავილი
35. კანადელი მომღერალი ქალი
36. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
37. რბილი სასის ბოლო ნაწილი
38. ყვავილის ლარნაკი
39. აზიის უგრძესი მდინარე
40. კომპიუტ. ინდუსტრიის გენიოსი ... ჯობსი
41. ჯუჯა ცხენი
42. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
43. რუსეთის ფულის ერთეული
44. იაპონელი მწერალი კობო ...
45. კანადის დედაქალაქი
46. ქართული ესტრადის დედოფალი
47. ოპერა „კარმენის“ ავტორი
48. ცნობილი რუსი დიზაინერი
49. ნახვამდის- იტალიურად
50. აღმოსავლური ტკბილეული
51. ესპანური სამანძიანი ხომალდი შუა საუკუნეებში
52. აფრიკული ანტილოპის სახეობა
53. პერსევსის დედა
54. ილიას „ყაჩაღი“
55. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი
56. კუნძულოვანი ქვეყანა ევროპაში
57. იტალიის უდიდესი მდინარე
58. პატარა მტაცებელი ცხოველი
59. ღვთისმშობელ მარიამის დედის სახელი
60. ტირიფის სახეობა








ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შეწირეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

**შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ღომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.